უშიშროების სამინისტრო ზემო კოდორში ავღანელების არსებობას უარყოფს A3

რუსი სენატორის ფანტაზია და რეალობა A4

თენგიზ კიტოვანი: შევარდნაძე, აშშ-ს ადმინისტრაციის საშუალებით, ვლადიმირ პუტინს მართავს A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 4 აგვისტო, 2002 წელი. №63

ფასი 50 თეთრი

ამერიკელ კონგრესმენთა დესანტი თბილისში

ბიორგი ასანიშვილი

საქართველოსა და რუსეთს შორის დაპირისპირებაში "გამარჯვებულის" ვინაობის გამოცნობა მეტად იოლი საქმე იქნებოდა, თეთრი სახლის ადმინისტრაცია ოფიციალური თბილისის მიმართ პოლიტიკურ მხარდაჭერას ღიად რომ არ გამოხატავდეს. ეს მხარდაჭერა მეტად დროული და აუცილებელია, მით უმეტეს, მოვლენების ბოლოდროინდელი განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე, რადგან სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ რუსეთის ხელისუფლება აგრესიული განცხადებებიდან პირდაპირ "საქმეზე გადავიდეს". ასეთ რთულ ვითარებაში კი აშშ-ს საკმაოდ მაღალი რანგის დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, გარკვეულწილად, ამშვიდებს და ათამამებს.

"რაც არ უნდა ეცადოს მოსკოვი, ჩვენ მაინც არ წავალთ იმაზე, რომ რუსეთმა პანკისის ხეობაში სამხედრო ოპერაცია ჩაატაროს", - ამერიკელებთან შეხვედრის შემდეგ საკმაოდ მაღალ ნოტზე საუბრობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

კონგრესმენთა რვაკაციანმა დელეგაციამ, რომელსაც რესპუბლიკელი დევიდ დრაიერი ხელმძღვანელობს, პარლამენტის სპიკერის გარდა, შეხვედრა გამართა საქართველოს ხელისუფლების თითქმის ყველა მნიშვნელოვან პერსონასთან - შევარდნაძესთან, მენაღარიშვილთან, თევზაძესთან და ჯაფარიძესთან.

გაგრძელება A2 გვერდზე

ამერიკელი კონგრესმენები საქართველოს პარლამენტში

ბესო გულაბვილის ფოტო

დაკავებულია ჩეჩენ მებრძოლთა შვიდკაციანი ჯგუფი

გუშინ გირევის საგუშაგოს მიდამოებში, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის გადმოკვეთისას, შეიარაღებულ ჩეჩენ მებრძოლთა 7 კაციანი ჯგუფი დააკავეს.

როგორც უშიშროების სამინისტროში გვაცნობეს, ჯგუფის წევრები, რომელთა შორის დაჭრილებიც არიან, აცხადებენ, რომ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ითუმ-ყალეს რაონში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ.

ჩეჩნების მტკიცებით, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მათი ჯგუფი საქართველოს მიმართულებით გამოდევნა.

ამასთან, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში გაკვირვებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ჩეჩნების მიერ საზღვარი დაირღვა იუქურიგოს უღელტეხილზე, სადაც განთავსებულია რუსეთის სასაზღვრო ძალების გაძლიერებული საგუშაგო.

საზღვრის დამრღვევი შეიარაღებული ჯგუფი უკვე გადმოყვანილია თბილისში და აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც უშიშროების სამინისტრო იძიებს.

აღნიშნული ფაქტის შესახებ ეცნობა ეუთოს დამკვირვებელთა მისიას, ამასთან, შესაბამისი შეტყობინება გაეგზავნა რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო უწყებას. **(პრაიმ-ნიუსი)**

ციხეს „ნასწავლი„ მეციხოვნეები დაიცავენ

პირველად საქართველოს ისტორიაში ქართულ ციხეებს საგანგებოდ განსწავლული მეციხოვნეები დაიცავენ.

სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა სპეციალური კურსი გაიარეს იურისპრუდენციაში. კერძოდ, მათ მოისმინეს სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, დამნაშავის ფსიქოლოგიის, სასჯელაღსრულების სამართლისა და ისტორიის ლექციების კურსი, თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებებში ევროპის საბჭოს აქტების მიხედვით.

გუშინ კი იმ კურსდამთავრებულებისთვის, რომლებმაც ერთთვიანი სასწავლო კურსი უკვე გაიარეს, იუსტიციის სამინისტროში ტესტირების პირველი ეტაპი ჩატარდა.

ერთგვარად აბიტურიენტის როლში აღმოჩენილმა მომავალმა მეციხოვნეებმა პასუხი გასცეს ორ ვარიანტად შედგენილ 50 ტესტს, გამსვლელი ქულა 30 იყო. იუსტიციის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის, ალექსანდრე აფხაიძის თქმით, მსმენელთა 82-მა პროცენტმა, ანუ 56-მა ადამიანმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

გამოცდაჩაბარებულ მეციხოვნეებს სერტიფიკატები 14 აგვისტოს გადაეცემათ. იუსტიციის სასწავლო ცენტრი ანალოგიურ სწავლებას სექტემბერშიც განაახლებს.

ამინდი

თბილისი	32
ქუთაისი	28
ბათუმი	26
სოხუმი	27
ფოთი	27
თელავი	32
ზუგდიდი	28
გორი	28

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1900
ევრო	2.1607
გირვანქა სტერლინგი	3.4243
რუბლი	0.0694

„თბილავიამშენში„ ხუთადგილიან სამგზავრო თვითმფრინავებს ააწყობენ

სოფიკო ოხანაშვილი

თვითმფრინავით მგზავრობის მოყვარულებს სულ მალე "თბილავიამშენი" ამერიკულ კომპანია "მეივერიკთან" ერთად ახალ ხუთადგილიან სამგზავრო თვითმფრინავებს შესთავაზებს. ახალი თვითმფრინავების უპირატესობა ისაა, რომ ასაწყობი ნაწილები მთლიანად კომპოზიციური მასალებისგანაა დამზადებული.

ამერიკულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თვითმფრინავი "თბილავიამშენის" ბაზაზე უნდა ააწყონ. ამის გამო, "თბილავიამშენის" ხუთი სპეციალისტი აშშ-ში უნდა გაემგზავროს თვითმფრინავის ნაწილების ჩამოსატანად. ქართველი სპეციალისტები ამ დროისათვის სრულ მზადყოფნაში არიან და კომპანიონისგან ვიზებს ყოველ დღე ელოდებიან. **"ჩვენი ხუთი სპეციალისტი დღე-დღეზე ელოდება ვიზებს, რომ ამერიკიდან ნაწილები ჩამოიტანონ ახალი ხუთკაციანი სამგზავრო თვითმფრინავის ასაწყობად. ისინი ადგილზე დაწვრილებით გაეცნობიან ტექნოლოგიას და დოკუმენტაციას. ჯერჯერობით, მხოლოდ ორი კომპლექტი ჩამოგვაქვს",** - განაცხადა მთავარმა ინჟინერმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ავიარევანში საჰაერო სივრცეში

"აირზენას" თვითმფრინავებს მოსკოვისკენ არ უშვებენ

მაია ურუშაძე

პარასკევს, დილის ცხრის ნახევარზე მოსკოვის მიმართულებით "აირზენას" უკანასკნელი თვითმფრინავი გაფრინდა. მას შემდეგ რუსმა სამხედროებმა რუსეთის ზონა ქართული ავიაკომპანიებისათვის დახურულად გამოაცხადეს. ამის გამო "აირზენას" თვითმფრინავმა უკან დაბრუნება მხოლოდ გამთენიისას, დილის ოთხის ნახევარზე მოახერხა.

რუს სამხედროთა მიერ დილის თერთმეტი საათიდან ღამის ორ საათამდე გადაკეტილია მთელი კავკასიის ქედის საჰაერო ზონა – შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ამ ზონაში ფრენა მხოლოდ რუს სამხედროთა საგანგებო ნებართვითაა დაშვებული, ნებართვის მიღებას კი მხოლოდ რუსეთის ავიაკომპანიები "ახერხებენ".

პარასკევს, მთელი დღის განმავლობაში, საქართველოდან რუსეთის მიმართულებით "აკრძალული ზონა" ოცდაშვიდმა თვითმფრინავმა გადაკვეთა. მათ შორის იყვნენ ის რუსული ავიაკომპანიები, რომლებიც მოსკოვი-თბილისის რეისებს ასრულებენ.

"აირზენაში", ჯერჯერობით, ეკონომიკურ ზარალზე არ საუბრობენ. ავიაკომპანიის დირექტორის, გივი ნუცუბიძის განცხადებით, **"ზარალი უფრო მორალურია, ვიდრე ეკონომიკური. მთელი დღის განმავლობაში მგზავრები სხედან და ელიან საჰაერო სივრცის გახსნას. ქვეყნის იმიჯი მნიშვნელოვნად ილახება, საქართველოს ავიაკომპანიების სახელი კი საერთაშორისო მასშტაბით განიცდის დისკრედიტაციას."**

თუ ასე გაგრძელდა, მორალური ზარალის გარდა, "აირზენა" მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალსაც მიიღებს. მით უმეტეს, რომ თბილისის აეროპორტი და საჰაერო სივრცე გახსნილია მხოლოდ რუსული ავიაკომპანიებისთვის.

რა ლამაზია თუშეთი

ზაზა ფაჩუაშვილი

მუნჯი უნდა იყო, რომ მთა-თუშეთი ნახო და ეს მილიონჯერ ნათქვამი არ ამოიმღერო. გუშინ ომალოში თუშეთობაზე ასული სახელმწიფო მინისტრიც სულ ამას იმეორებდა და ხედებს გვირჩევდა, ეს გადაიღეთ, ნახეთ, რა ლამაზიაო. ომალოს თავზე გაამაყებულმა მეჩვიდმეტე საუკუნის ციხემაც მიგვიღო და ცისფერთან ჯვარდაწერილი მწვანე ხევები გვანახა. ამ სიმაღლიდან თქვა ყველაზე ცნობილმა თუშმა მეცხვარემ პლატომ: ეგე, ბალღო, ეგ არის შენი სამშობლოო.

იცლება სამშობლო

თუშებს არაფერი დაუჩივლიათ. დღესასწაული იყო და სტუმრებს ჩვეულებრივ ხინკლითა და ჟიპიტაურით დახვდნენ, მაგრამ სადაც ნახევარი მთავრობა იქნება, იქ პრობლემებს რა დამალავს.

ახმეტის გამგებელი ნუკრი ალავიძე: " დაბომბვის მერე მთა-თუშეთს მარტო ერთ დღეში 60 მანქანა მოადგა ოჯახის წევრების ბარში ჩასაყვანად. ხალხს რუსების შემოსვლისაც ეშინია და იცლება აქაურობა. ამ ზამთარს მთელ მთა-თუშეთში მხოლოდ 47 ოჯახი იყო".

ცხვარი წყდება, ძროხა მრავლდება

ავადმყოფობა არაფერ შუაშია, უბრალოდ თუშები მატყლის გორებს ვეღარ აუდიან, მყიდველი რომ არავინაა და ჯავრს ცხვარზე იყრიან. ამცირებენ ამ თეთრ "ოქროს" და ძროხას ამრავლებენ. გული კი წყდებათ და ამბობენ, საქმე ისე არ წავიდეს, ცხვარი საყიდელი გაგვიხდესო. თუმცა, იქამდე ჯერ შორსაა. ჯერ კიდევ აკურთხებენ თუშეთში მწყემსებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ეგე, ბალღო, ეგ არის შენი სამშობლო

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ვლადიმირ ჟირინოვსკი: საქართველოში გარდაუვალია სამხედრო გადატრიალება, რომლის დროსაც შევარდნაძეს გაანადგურებენ

- რუსი სენატორის, მარგელოვის განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ უახლოეს მომავალში პუტინი პარლამენტის ზედა პალატას მიმართავს თხოვნით საქართველოს ტერიტორიაზე საომარი ოპერაციის დაწყების თაობაზე. როგორ ფიქრობთ, სენატორებიც დათანხმდებიან?

ვლადიმირ ჟირინოვსკი: რუსეთის კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტი თანხმობას მისცემს პრეზიდენტს, ქვეყნის საზღვრის გასამაგრებლად, გარკვეული ოპერაციები აწარმოოს. რუსეთის პარლამენტი უარზე არ იქნება, რადგანაც შევარდნაძეს დღეს პანკისის პრობლემის მოგვარება არ სურს. ამიტომ ამას ჩვენ მოვუვლით. კონსტიტუციის მიხედვით, შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე თანხმობას ფედერაციათა საბჭო იძლევა. ამის გაკეთება გაზაფხულზე იყო საჭირო, მაგრამ პრეზიდენტმა პუტინმა სენატორებს მაშინ არ მიმართა, დაახანა და შეეცადა, შევარდნაძე დაერწმუნებინა ამ პრობლემის ერთობლივად გადაჭრის აუცილებლობაში. თუ ჩვენი მესაზღვრეების ხოცვა გაგრძელდება, ბანდიტიზმს ბოლო უნდა მოვუღოთ. რუსეთს უნდა მიეცეს ამის საშუალება. თუ საჭირო გახდება, ჯარებს საქართველოშიც შევიყვანთ და ბანდიტებს ფოთამდეც მივყვებით. იქ მათ სევასტოპოლის სპეცრაზმი ზღვაში ჩაახრჩობს.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 ეკონომიკა A4 პოლიტიკა

B1 სტილი B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

თბილისი. სახელმწიფო კანცელარიის ცნობით, სახელმწიფო ბიუჯეტი 106,6 პროცენტით შესრულდა. წინასწარი მონაცემებით, დაგეგმილი 79,09 მილიონის ნაცვლად მობილიზებულია 84,32 მილიონი ლარი.

გემის გადაჭარბება ქვეყანში შემოსული უცხოური გრანტების შედეგად მოხდა. ნავარაუდევი 6,7 მილიონი ლარის ნაცვლად ბიეჯეტში შევიდა 15 მილიონი ლარი. საკუთარი შემოსავლების მხრივ ჩამორჩენამ კი 3,07 მილიონი ლარი შეადგინა. ნაცვლად დაგეგმილი 72,39 მილიონისა ბიუჯეტში შემოსულია ამ თანხის მხოლოდ 95,8 პროცენტი. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

თბილისი. დღეს დილით სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე დასავლეთ საქართველოში გაემგზავრება. იგი სენაკსა და ზუგდიდში ჩავა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგნელებთან საუბრის შემდეგ ჯორბენაძე პარტიზანული მოძრაობის ლიდერებთან შეხვედრას აპირებს. სახელმწიფო მინისტრი თბილისში დღესვე დაბრუნდება. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

თბილისი. 6-7 აგვისტოს, თბილისში სამხედრო საკითხებზე საქართველოსა და რუსეთის შორის მოლაპარაკებები ექსპერტთა დონეზე განახლდება. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, სექტემბრის ბოლოს იგეგმება საქართველოსა და რუსეთის სამთავრობო დელეგაციებს შორის მერვე რაუნდის გამართვა.

მხარეები განიხილავენ გუდაუთის სამხედრო ბაზის საერთაშორისო ინსპექტირების, ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების ლიკვიდაციის საკითხებს. საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის განცხადებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გუდაუთის სამხედრო ბაზის საკითხს, რომელიც რუსულმა მხარემ უკვე დახურულად გამოაცხადა და იყენებს მას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსი სამშვიდობოებისათვის. საქართველო კვლავინდებურად ითხოვს ამ ბაზის დახურვას და საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელებას.

სამშვიდობოების სარდლის ალექსანდრე ევტეევის თქმით, ამჟამად ბაზაზე 600-მდე სამხედრო მოსამსახურე პერსონალისა და ზურგის სამსახურიდან. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

მოსკოვი. კერიგოს ხეობაში 27 ივლისს შეჭრილი ჩეჩენი ბოევიკები ჩეჩნეთის იტუმ-ყალას რაიონში საქართველოს ტერიტორიიდან მოხვდნენ - განაცხადა რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორმა კონსტანტინ ტოცკიმ.

"აშკარაა და თვალსაჩინო ის ფაქტი, რომ ბოევიკებმა საქართველოს ტერიტორიიდან შეძლეს შემოსვლა. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ქართველი კოლეგები ყველა ღონეს გამოიყენებენ, რათა არა თუ საზღვრის გარღვევის ფაქტი დაუშვან, არამედ აღმოფხვრან მისი გადალახვის ყველა საშუალება" - აღნიშნა ტოცკიმ.

მისი თქმით, ბანდფორმირებების ლიკვიდაციის ოპერაცია უკვე დასრულდა. ტოცკიმ აღნიშნა, რომ 60 ბოევიკიდან მოკლულია 40. მესაზღვრეებს შორის კი დაიღუპა 8 და დაიჭრა 5 ადამიანი.

სასაზღვრო სამსახურის დირექტორმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობა რუს და ქართველ მესაზღვრეებს შორის მომავალშიც გაგრძელდება. "ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება, ვინაიდან ჩვენ ერთი ნავით დავცურავთ. ურთიერთობები არ შეწყვეტილა - არსებობს მუდმივი კავშირი. ჩვენ მომავალშიც ვითანამშრომლებთ," - აღნიშნა ტოცკიმ. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

ნიუ-იორკი. გაეროს ლტოლვილთა საქმეების უწყებამ დროებით შეაჩერა თავის საქმიანობა საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში. როგორც უწყების ხელმძღვანელმა რონ რედმონდმა განაცხადა, ამგვარი გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლების თხოვნის საფუძველზე იქნა მიღებული.

ადრე ამ ორგანიზაციამ, უსაფრთხოების მოსაზრებით, რამდენჯერმე შეაჩერა საქმიანობა, პანკისის ხეობაში დევნილთა დახმარების თვალსაზრისით. ამჟამად, ამ რეგიონში, გაერო-ს შეფასებით, იმყოფება 3 800 ჩეჩენი დევნილი.

რედმონდმა იმედი გამოთქვა, რომ პანკისის ხეობაში დევნილთა შორის პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების ნივთების განაწილების პროცესი უახლოეს მომავალში კვლავ განახლდება. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

სოხუმი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დედაქალაქში კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი "ბიჭვინთა-2002" გაიხსნა. ნელს ბიჭვინთის ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ მუსიკალური კოლექტივები რუსეთიდან.

ფესტივალის საპატიო სტრუმარია ცნობილი რუსი მსახიობი ვასილი ლანავოი. ფესტივალის ყველა მონაწილე აფხაზთა პრემიერმა ანრი ჯერგენაიამ გუშინ მიიღო. ამ შეხვედრისას აღინიშნა, რომ ფესტივალის ფორმატი მომავალში უფრო დიდი იქნება და მასში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო დონის ხელოვანები.

ფესტივალი "ბიჭვინთა" - 2002" 10 აგვისტომდე გაგრძელდება. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

ლონდონი. ლონდონში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის აქციონერებმა ხელი მოაწერეს ნავთობსადენის კომპანიის შექმნის დოკუმენტაციას. BP-ის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ხელმოწერაში მონაწილეობას იღებდნენ ნავთობსადენის სატრანზიტო ტერიტორიების მფლობელი ქვეყნები - აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი.

ნავთობსადენის ყოველი აქციონერი იქნება ამ კომპანიის მონაწილე, რომელიც ააშენებს და ექსპლუატაციას გაუწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს. კომპანიის შექმნა ნიშნავს, რომ პროექტი გადავა ნავთობსადენის მშენებლობის სრულ სტადიაზე, მას შემდეგ, რაც მიიღებს გარანტიას ყველა წინასწარი სამუშაოს დასრულების შესახებ. კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია აზერბაიჯანული ნავთობის კომპანის პრეზიდენტი ნატიკ ალიევი. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის ფედერაციის საბჭოს ხელმძღვანელმა სერგეი მირონოვმა არ გამორიცხა, საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი ტერორიტების ადგილსამყოფელზე პრევენციული დარტყმები განახორციელოს. "ეს გამოთქმები ხელ-ფეხს უხსნის რუს სამხედროებს. ყველა საერთაშორისო ნორმით, ამგვარი მოწოდებები დაუშვებელია და საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უნდა მისცეს შესაბამისი შეფასება მსგავს განცხადებას" - უთხრა ჟურნალისტებს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ჯემალ გახოკიძემ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის მხრიდან პრევენციული დარტყმების განხორციელება საქართველოში აღქმული იქნება, როგორც მოსკოვის მხრიდან ომის გამოცხადება. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

თბილისი. გლდანი-ნაძალადევის პოლიციის თანამშრომლებმა ბინების ქურდობებში ეჭვმიტანილი ორი პირი დაიკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სენაკის რაიონის სოფელ ბეთლემში მცხოვრებმა, ოთხჯერ ნასამართლევმა 22 წლის ათანასე როგავამ და ქუთაისში მცხოვრებმა 35 წლის როინ ცირეკიძემ თბილისში რამოდენიმე ბინა გაქურდეს.

ნივთმტკიცებები ამოღებულია.

გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

თბილისი. იუსტიციის სამინისტროს სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტმა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს, ადამიანის უფლებების დაცვის დარგში, რუსუდან ბერიძეს, სათანადო დავალების საფუძველზე, ოთხასამდე ყოფილი მეომარი მსჯავრდებულის შეწყალების სია წარუდგინა.

სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პაატა მხეიძის განცხადებით, ეს იმ პატიმრების სიაა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში იღებდნენ მონაწილეობას, მათ შორს არიან ყოფილი მხედრიონელი და ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი პატიმრებიც.

“სათანადო განხილვის შემდეგ სიები საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს წარედგინება, რომელიც შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას მათი შეწყალების საკითხთან დაკავშირებით”, - განაცხადა მხეიძემ.

აღნიშნულთან დაკავშირებით პარლამენტარი ელენე თევდორაძე ვარაუდობს, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეწყალება, ალბათ, არ შეეხებათ იმ პატიმრებს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებების - მკვლელობის, ყაჩაღობისა და ნარკოტიკების გამო არიან გასამართლებულნი. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

თბილისი. „ ქართულმა და აფხაზურმა მხარებმა უკვე მოამზადეს მიმართვა გაეროს მისიისადმი, სადაც მოითხოვენ გალის რაიონის უსაფრთხოების ზონაში საერთაშორისო ექსპერტების მიერ სიტუაციის შესწავლასა და ვითარების გასაუმჯობესებლად სათანადო რეკომენდაციების მომზადებას.

ამის საფუძველი გახდა დსთ-ს სამშვიდობო მისიის სარდლის, გენერალ ალექსანდრ ევტეევის ინფორმაცია, რომ ერთი კვირის წინათ რუსეთის 107 საგუშაგოს მახლობლად სროლების შედეგად დაიღუპა ერთი და დაიჭრა სამი რუსი სამხედრო მოსამსახურე. ამას გარდა, ევტეევის თქმით, სოფელ ჩხალთაში არის ქართული მხარის კუთვნილი შეიარაღება, რომლის გატანასაც ქართული მხარე თვის ბოლომდე აპირებს.

აფხაზური მხარის ინფორმაციით, გალის რაიონში ამჟამად 60.000 დევნილი ცხოვრობს, საიდანაც 34.000 ოფიციალურად არის რეგისტრირებული. (მედიანიუსი)

■ ■ ■

თბილისი. გალის ადმინისტრაციის უფროსი რუსლან ქიშმარია აფხაზური ოფიციოზის „რესპუბლიკა აბხაზიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ 1 აგვისტოდან მნიშვნელოვნად დაიძაბა სიტუაცია, როგორც გალის რაიონში, ასევე კოდორის ხეობაში. ქიშმარია შეშფოთებას გამოთქვამს „ხედრიონის“ წევრების ამნისტიასთან დაკავშირებით. მისი თქმით, არსებობს იმის საშიშროება, რომ ეს ფაქტი 1993 წლის მოვლენების განმეორებას გამოიწვევს. „ძალიან გართულდა სიტუაცია კოდორის ხეობაში, ამ დღეებში იქ საერთაშორისო ტერორისტებისა და არაბი ემისრების ყოფნა შეინიშნება. გალის რაიონში სიტუაციის გამწვავება კი კიდევ უფრო გაართულებს ვითარებას კოდორის ხეობაში“, — აცხადებს რუსლან ქიშმარია. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

თბილისი. სასჯელაღსრულების თბილისის მე-5 საპყრობილეში სამი პატიმარი — 41 წლის შალვა ბაღიშვილი, 32 წლის გიორგი ჩაგუნავა და 42 წლის მერაბ მაისურაძე სხეულის დაზიანებებით შეიყვანეს, - განაცხადეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში.

ჩაგუნავა და ბაღიშვილი დაკავებულები არიან ქურდობის მუხლით, ხოლო მაისურაძეს ბრალად ედება განზრახ მკვლელობა.

ბაღიშვილს თვალი აქვს დაზიანებული, ჩაგუნავას კი — მარჯვენა წვივის არე. რაც შეეხება მაისურაძეს, მას ნაკვეთი ჭრილობები აქვს ორივე ზედა კიდურზე, ექსკორაციები ზურგის არესა და ორივე წვივზე.

სამივე პატიმარი აცხადებს, რომ დაზიანებები დაკავებამდე მიიღეს. (მედიანიუსი)

რა ლამაზია თუშეთი

ПИРВЕЛИ ГВЕРДИДАН

თუშეთობა - მწყემსის დღე

პირველი თუშეთობა 21 წლის წინათ გამართულა, როცა მთაში შევარდნაძე ასულა და ეს დღესასწაულიც დაუწესებია (მაშინ თუშეთში პირველად უნახავთ მანქანა). მერე თუშეთობისთვის მწყემსების დღეც დაურქმევიათ და მწყემსად კურთხევა დღესასწაულის განუყოფელი ნაწილი გამხდარა. გუშინ დიდი ნაბდები ორ ახალგაზრდას მოახურეს – 18 წლის ვახტანგ იდოიძეს და 16 წლის ხვიჩა ბუხაიძეს. ბიჭებმა მარულაში მაშინვე დაამტკიცეს, რომ ამის ღირსები იყვნენ. ხვიჩა კი პირველი მივიდა.

სახელმწიფო მინისტრი და 93 წლის რეზო ცაძაკიძე ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

პირველი მასპინძელი

ერთ ეზოში, სადაც გუდის ყველი ამოყავდათ და ხინკალს ხარშავდნენ, ვანიკა მელაიძე იდგა და ლუდის მასალას ამზადებდა. ავთანდილ ჯორბენაძემ პირდაპირ მას მიმართა:

- გამარჯობათ, როგორა ხართ.
- რა ვიცი, არა გვიშავს.
- რამდენი წლის ბრძანდებით?
- მმმ, 28-იანი ვარ, რა.
- ახალგაზრდა ყოფილხართ.
- ჰოდა, ვერავინ ამააყოლეთ, რომ დამეტოვებია აქა, ჩემი ქალი ბარშია.

აი, ეს ერთადერთი პრობლემა იყო, რომელზეც არავის უმსჯელია და არც არავის უთქვამს, ვიფიქრებთ და ვნახავთ, რის გაკეთებას შევძლებთო.

ყველაფერი იწყება გზიდან

უგზოობა მთის პირველი პრობლემაა და მას ყველა გამომსვლელი შეეხო. იმის მიუხედავად, რომ მთა-თუშეთი ოქტომბრიდან მაისამდე იკეტება და სამყაროს წყდება, გზის შესახებ კონკრეტულად ვერავინ ვერაფერი თქვა. თუმცა, შიდა, სოფლების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზების მშენებლობისთვის მთა-თუშეთს 25 ათასი დოლარის ოდენობის ამერიკული გრანტი გამოუყვეს. ამ სასიამოვნო ცნობას დღის ბოლოს კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი დაემატა. ეს მოხდა საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბორის სალარიძის სადღეგრძელოს შემდეგ, როცა ბატონმა ბორისმა თავის სამადლობელ სიტყვაში ბრძანა, ქვეყანა რომ დაიქცეს, წლის ბოლომდე თუშეთი ორ ბულდოზერს მაინც მიიღებსო. ამას ოვაციები და თამადის მისამართით მცირე პრეტენზიაც მოჰყვა, ცოტა გვიან რომ ედღეგრძელებინა, ერთ-ორ ბულდოზერს კიდევ მოაყოლებდაო.

ღირსეული ხალხი

თუშეთში ყველა ღირსეულია, მაგრამ ღირსების ორდენითა და მედლებით პრეზიდენტმა ამჯერად ოთხი მათგანი დააჯილდოვა: უხუცესი რეზო ცაძაკიძე, დართლოს არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის გამგე ნუგზარ იდოიძე, ადგილობრივი ამბულატორიის ექიმი ირაკლი ხვედაგურიძე და ირაკლი ბუქვაიძე.

სტუმრები

სახელმწიფო მინისტრს ომალოში ექიმთა 12 კაციანი ჯგუფი დახვდა. ეს ის ექიმები არიან, რომლებმაც ორიოდე კვირის წინათ კოდორში იმუშავეს. ისინი მთა-თუშეთის სოფლებსაც მოივლიან და რამდენიმე დღის განმავლობაში ხალხს უსასყიდლოდ გასინჯავენ.

მოგვიანებით გოგი თოფაძეც გამოჩნდა და, როგორც მან აღნიშნა, სერიოზულად იფიქრებს თუშური პროდუქციის რეალიზაციაზე.

თუშეთი იცოცხლებს

გუშინ ამ ჭეშმარიტებაში ყველა დარწმუნდა. დღესასწაულზე გამოფენილი თუშური ხელოვნების ნიმუშები, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი დიდ-პატარის ცეკვა-სიმღერა, ლექსი და მარულა ერთია, მაგრამ მთავარი მაინც იმედია, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, ხალხში ცოცხლობს. 83 წლის რეზო პაპამ ღიმილით გვითხრა, ზამთრის გატანას რა უნდაო, მოვიმარაგებთ 7 თვის საჭმელს ჩვენთვის და საქონლისთვის და ვართ ასე ერთმანეთთანო.

რაც შეეხება მთავრობას, ავთანდილ ჯორბენაძე დარწმუნებულია, რომ მთა-თუშეთს დიდი მომავალი აქვს. მომავალში კი იმ ამაყმა კოშკებმა მრავალი ტურისტიც უნდა მიიღოს. ხომ უნდა ნახოს მსოფლიომ მსოფლიო მონაპოვარი.

ამერიკელ კონგრესმენთა დესანტი თბილისში

ПИРВЕЛИ ГВЕРДИДАН

"ალბათ უცნაურიც კი იქნებოდა, სტუმრებთან საუბრისას საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები რომ არ განგვეხილა. ჩვენ ავუხსენით კონგრესმენებს, თუ როგორ ჩანს ეს პრობლემა თბილისიდან", - აღნიშნავს ირაკლი მენაღარიშვილი, რომელიც იქვე იმასაც დასძენს, რომ, მოსკოვსა და თბილისს შორის დაძაბულობის ესკალაციის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას დასახმარებლად ნატოსთვის არ მიუმართავს, **"რადგან ამერიკის მხარდაჭერაც სავსებით საკმარისია იმ არასასურველი მოვლენების თავიდან ასაცილებლად, რომელსაც, შეიძლება, ჰქონოდა ან მომავალში ჰქონდეს ადგილი".**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, თბილისისადმი ვაშინგტონის პოლიტიკური თანადგომა მხოლოდ კონგრესმენთა "დესანტის გადმოსხმით" არ ამოიწურება: სულ მალე საქართველოში ჩამოვა ამერიკელ სენატორთა დელეგაციაც - მაკ'კეინის მეთაურობით.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველებს ტყუილად არ აქვთ ამერიკელების დახმარების იმედი. პრეზიდენტ შევარდნაძესთან გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ დევიდ დრაიერმა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა განაცდელის ჟამს საქართველოს მარტო დატოვებას არ აპირებს.

"ვხედავთ, რომ დღეს საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, პანკისის პრობლემასაც კარგად ვიცნობთ და მხარს დავუჭერთ საქართველოს მთავრობას, რომ მან ეს საკითხები ისე გადაწყვიტოს, როგორც თავად მიაჩნია საჭიროდ", - აღნიშნავს დრაიერი.

თუმცა, საქართველოს ხელისუფლების სურვილია, დახმარების შესახებ განცხადებებმა უფრო კონკრეტული მოხაზულობა შეიძინოს. ამიტომაც სთავაზობს ნინო ბურჯანაძე ამერიკელ კონგრესმენებს: **"ვინაიდან აშშ ზესახელმწიფოა და არაერთი გლობალური საკითხით არის დაკავებული, მიზანშეწონილი იქნება, კონგრესში და სენატში არსებობდეს რამდენიმე კაცისგან შემდგარი საქართველოსთან მეგობრობის სპეციალური ჯგუფი, რომელიც საქართველოს პრობლემატიკაზე იმუშავებს, დეტალურად ეცოდინება ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარება და ოპერატიულად იზრუნებს ადეკვატური რეაგირებისთვის".**

ამ საკითხის კიდევ ერთხელ წამოწევას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეერთებულ შტატებში თავისი ვიზიტის დროსაც აპირებს, რომელიც შემოდგომისთვის არის დაგეგმილი.

უშიშროების სამინისტრო ზემო კოდორში ავღანელების არსებობას უარყოფს

ВЕРИКО ТЕВЗАДЗЕ

ერთ-ერთი ქართული სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში, სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი შამბამ საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია დაადანაშაულა *იმაში, რომ, თითქოსდა, ხაბურძანიას მითითებით, კოდორის ხეობის ზემო ნაწილში შვეულმფრენებით ავღანელები გადასხეს: **"ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ხაბურძანია ამჟამად სწორედ ამით არის დაკავებული... ძალიან მალე გაიგებთ ყველაფერს, მაშინ, როცა მათ ტყვედ ჩავიგდებთ, გვამებად ვაქცევთ და ლეშებს ამოსაცნობად ქართულ მხარეს წარვუდგენთ..."***

ცხადია, შამბას ასეთი გამოსვლის მიზეზი გახდა ხაბურძანიას განცხადება აფხაზეთის ტერიტორიაზე ავღანელი მიგრანტების გადაადგილების შესახებ. **"ვიდრე ტელევიზიით საგანგებო განცხადებებს გააკეთებს, უშიშროების მინისტრს დაფიქრებას ვურჩევ"**, - აცხადებს შამბა.

"24 საათთან" საუბარში უშიშროების სამინისტრომ კატეგორიულად უარყო შამბას მიერ გამოთქმული ბრალდება. სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის, ნიკა ლალიაშვილის თქმით, **"შამბა ფსიქოთერაპევტს უნდა გაესინჯოს. როგორც ჩანს, იგი საშინელებათა ფილმებით გადაიღალა და თავი შეგვახსენა ნეკროფილური გამოხდომებით... აშკარაა, შამბას რუსი დესანტი ავღანელებში ერევა... აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის აზრთ, ხაბურძანია ბოლო დროს უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს. შამბამ უნდა გაიგოს, რომ საქართველოს უშიშროების სამინისტრო შამბასა და მისი მსგავსი სეპარატისტების წინაშე არასოდეს იქნება პასუხისმგებელი."**

კავკასიურ საკითხთა ექსპერტი, პარლამენტარი მამუკა არეშიძე შეუძლებლად მიიჩნევს კოდორის ხეობაში ავღანელების ყოფნას. იგი კატეგორიულად უარყოფს შამბას ბრალდებას, თითქოს ქართული მხარე პროვოკაციას მიმართავს. **"ჩვენ არანაირად არ გვაძლევს ხელს კოდორის ხეობით პროვოცირება, სოხუმში ახლა ძალიან ცხელა და ეტყობა, შამბას მზემ დაკრა."** არეშიძის აზრით, **"შამბა ახორციელებს რუსების გეგმის ნაწილს, რომლის მიზანია საქართველოს იმიჯის შელახვა, მისი ტერორისტულ ქვეყნად მონათვლა".**

უშიშროების სამინისტრო იმუქრება: **"უახლოეს დღეებში გამოვაქვეყნებთ დოკუმენტურ მასალებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ აფხაზეთი არის კრიმინალური დაჯგუფებების ბუდე.**

უცხოეთი

სიკვდილით დასჯის გაუქმება თურქეთში - დიდი ნაბიჯი ევროპისაკენ

ГИОРГИ ХЕЛАШВИЛИ

გუშინ თურქეთის პარლამენტის მიერ პროგრესული რეფორმების პაკეტის დამტკიცება ევროკავშირის წევრობის გზაზე გადადგმული დიდი დემოკრატიული ნაბიჯია, მაგრამ ევროპაში ინტეგრაციის პროცესი თურქეთისათვის არც ისე ადვილი გამოცდა იქნება.

“ევროპა, ჩვენ მოვდივართ!” – ამ სიტყვებით გამოვიდა თურქული გაზეთი “მილიეთი” მას შემდეგ, რაც თურქეთის პარლამენტმა დაამტკიცა რეფორმების პაკეტი, რომელმაც თურქეთს ევროკავშირში წევრობისაკენ გზა უნდა გაუკვალოს.

დამტკიცებული რეფორმები საკმაოდ დიდ წინააღმდეგობას იწვევდა არა მარტო თურქეთის პოლიტიკურ ძალებში, არამედ ფართო საზოგადოებაშიც. უპირველეს ყოვლისა, რეფორმა მშვიდობიანობის დროს სიკვდილით დასჯის გაუქმებას ითვალისწინებს. გაუქმდა საგანგებო სამხედრო მდგომარეობა სამხრეთის ქურთულ პროვინციებში. მნიშვნელოვანია ქურთულ ენაზე განათლებისა და მაუწყებლობის დაშვება. ევროკავშირისათვის სასიამოვნო იქნება, აგრეთვე, თურქეთში ადამიანებითა და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობისათვის სასტიკი სასჯელების შემოღება. გარდა ამისა, გაუქმდა უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის კრიტიკისათვის დასჯის პრაქტიკაც, რაც დემოკრატიის შეზღუდვად მიიჩნეოდა. რეფორმებს ახლა მხოლოდ პრეზიდენტის ხელმოწერა ესაჭიროება, რაც თურქეთის კონსტიტუციით უბრალო ფორმალობაა.

თურქეთის პარლამენტში ხმის მიცემის პროცედურა შაბათ დილით, 22-საათიანი მარათონული დებატების შემდეგ ჩატარდა და პროევროპული ძალების გამარჯვებით დასრულდა. პროგრესული საპარლამენტო პარტიები იმედოვნებენ, რომ რეფორმების გატარებას ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და, საბოლოოდ, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება მოყვება.

ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელი პირობა სწორედ სიკვდილით დასჯის გაუქმებაა. თურქეთი ბოლომდე თავს იკავებდა ამ ნაბიჯის გადადგმისაგან, მიუხედავად იმისა, რომ, პრაქტიკულად, სიკვდილით დასჯა შეჩერებული იყო – 1984 წლის შემდეგ თურქეთში სიკვდილით აღარავინ დაუსჯიათ. ამ საკითხის სიმწვავე ქურთული “მუშათა პარტიის” ლიდერის, აბდულა ოჯალანის ბედს უკავშირდება, რომელიც სამი წლის წინ დააპატიმრეს და სიკვდილით დასჯა შეუფარდეს. ახლა ოჯალანი, ალბათ, გადარჩება, რასაც კმაყოფილებით მიიღებს თურქეთის 12-მილიონიანი ქურთული მოსახლეობა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს გადაწყვეტილება გააღიზიანებს იმ ათობით ათასი დაღუპული თურქის ოჯახებსა და ნათესავებს, რომლებიც ოჯალანისა და ქურთების სეპარატისტულ მოქმედებებს ბოლო 15 წლის განმავლობაში შეეწირნენ. სწორედ მათი უფლებების დაცვის საბაბით მოითხოვდნენ თურქი ნაციონალისტები ოჯალანის სიკვდილით დასჯას.

მეტიც, თურქი ნაციონალისტები უკმაყოფილონი არიან ქურთულ ენაზე განათლებისა და მაუწყებლობის დაშვებითაც. თურქეთის ახლანდელი კოალიციური მთავრობის წევრის, ეროვნული მოქმედების პარტიის ლიდერების აზრით, ქურთული ენის ლიბერალიზაცია ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში სეპარატისტულ ტენდენციებს წაახალისებს.

ნაციონალისტების მხრიდან კრიტიკის მიუხედავად, თურქეთის პარლამენტმა ევროკავშირის წევრობა უპირველეს პოლიტიკურ პრიორიტეტად მიიჩნია და ყველა სხვა მოსაზრება ამ პრიორიტეტს დაუქვემდებარა. პროევროპულმა პარტიებმა პარლამენტში დადგეს საათი, რომელიც ევროკავშირის კოპენჰაგენის დეკემბრის სამიტამდე დარჩენილ თვეებსა და დღეებს აღრიცხავს. სწორედ კოპენჰაგენის სამიტზე უნდა გადაწყდეს, დაიწყებს თუ არა ევროკავშირი თურქეთთან მოლაპარაკებას გაწევრიანების თაობაზე. ამგვარი მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს ევროპის 10 ქვეყანასთან, უმეტესად ყოფილი საბჭოთა ბლოკის სახელმწიფოებთან. მოელიან, რომ ეს 10 ქვეყანა ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი 2004-2005 წლებში გახდება.

თურქეთი მათ საგრძნობლად ჩამორჩება. თუ ახლანდელი კანდიდატი ქვეყნები დეკემბერში მოლაპარაკებებს დაასრულებენ, თურქეთი მხოლოდ მოლაპარაკების დაწყებას იმედოვნებს. სკეპტიკოსების აზრით, ანკარას ამასაც არ აღირსებენ. ამრიგად, გუშინ მიღებული მნიშვნელოვანი რეფორმები, დიდი აჟიოტაჟის მიუხედავად, მხოლოდ და მხოლოდ წინგადადგმულ ნაბიჯად რჩება და ჯერჯერობით პრაქტიკული შედეგის მომტანი ვერ იქნება. ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული 3 ნოემბერს დანიშნულ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე. ნოემბერში არჩეული პარლამენტის მოღვაწეობა თურქეთის “ევროპული” მომავლის კონტურების განმაპირობებელი იქნება.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე. ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია. სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

„თბილავიამშენში„ ხუთადგილიან სამგზავრო თვითმფრინავებს აარწყობენ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თვითმფრინავების აწყობას უახლოეს მომავალში გეგმავენ, თუმცა, როდის იქნება მზად ახალი კომფორტული თვითმფრინავი და როდის შეასრულებს თავის პირველ რეისს, ამის წინასწარ განსაზღვრა "თბილავიამშენის" ხელმძღვანელებს უძნელდებათ. **"ჯერ ზუსტად, არ ვიცით, რამდენ ხანში ავაწყობთ. როგორც წესი, პირველი თვითმფრინავების აწყობას უფრო დიდი დრო სჭირდება",** - აღნიშნა გოჩა გოგუაძემ.

მისი თქმით, ამჟამად "თბილავიამშენში" აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. დასასრულს უახლოვდება მოდერნიზებული SU-25KM SCORPION-ის გამოცდები, რომელმაც "ფარნბოროს" საერთაშორისო ავიაგამოფენაზე, ლე-ბურჟეს ავიასალონის მსგავსად, დიდი მოწონება დაიმსახურა.

"გამოცდები ახლაც მიმდინარეობს. შემოწმების პირველმა ეტაპმა სასურველი შედეგი აჩვენა. შენიშვნები აღარ გვაქვს აეროდინამიკაში, ახლა უკვე სიზუსტეების შემოწმებაზე ვმუშაობთ. ალბათ, აგვისტოს ბოლოს რამდენიმე ფრენას კიდევ ჩავატარებთ. გვინდა საბოლოოდ დავრწმუნდეთ, რომ კომპლექსი სრულყოფილად მუშაობს. წინასწარ ვერ გეტყვით შემოწმების ეტაპები საბოლოოდ როდის დამთავრდება. შეიძლება, პროგრამით გათვალისწინებული ყველა ფრენა არც კი დაგვჭირდეს", - სიამაყით აღნიშნა მთავარმა ინჟინერმა.

"თბილავიამშენში" "ფარნბოროს" ავიაგამოფენის შედეგებით კმაყოფილები არიან. მთავარი ინჟინერის თქმით, SU-25KM SCORPION-მა სპეციალისტების დიდი ინტერესი გამოიწვია. **"ხუთი-ექვსი ქვეყანა სერიოზულად დაინტერესდა და კონკრეტული წინადადებებიც შემოგვთავაზეს. ძირითადად ესენი არიან ის ქვეყნები, სადაც SU-25 ექსპლუატაციაშია. სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ქვეყანა, ახლა არ დავაკონკრეტებ, რომელსაც არა აქვს ექსპლუატაციაში SU-25, დიდად დაინტერესდა ამ თვითმფრინავით",** - შესაძლო პარტნიორების დასახელებისგან თავი შეიკავა გოჩა გოგუაძემ და იქვე ისიც დაუმატა, რომ ამ დროისათვის SU-25-ის მოდერნიზებით დაინტერესებულ ქვეყნებს "თბილავიამშენის" მოთხოვნები და პირობები გაუგზავნეს და ახლა მათ პასუხს ელოდებიან. **"ვვარაუდობთ, რომ პირველ ეტაპზე შეკვეთა ასე 4-6 თვითმფრინავზე იქნება",** - აღნიშნა მთავარმა ინჟინერმა.

"ფარნბოროს" ავიასალონში მონაწილეობასთან დაკავშირებით, "თბილავიამშენში" სინანულით მხოლოდ იმ ფაქტს იხსენებენ, რომ საჩვენებელი ფრენის საშუალება არ მიეცათ, თუმცა, იმედოვნებენ, რომ

"თბილავიამშენი" თვითმფრინავის ახალ მოდელს ქმნის

მომავალში საფრანგეთსა და ინგლისში გამართულ ავიასალონებში, რომლის წევრიც უკვე არის "თბილავიამშენი", სადემონსტრაციო ფრენას შეასრულებენ. საქმე ის არის, რომ ამ ავიაგამოფენებში საქართველო ახალი თვითმფრინავებით წარდგება. გოჩა გოგუაძემ დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა, თუმცა, ის კი აღნიშნა, რომ **"ეს შეიძლება იყოს, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო თვითმფრინავი".**

გოჩა გოგუაძის ინფორმაციით, სულ მალე "თბილავიამშენის" ბაზაზე შეიქმნება ვერტმფრენების კაპიტალური რემონტის რეგიონული ბაზა, რომელიც მოიცავს, როგორც კავკასიის, ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. ეს ბაზა ორიენტაციას, ძირითადად, სარემონტო სამუშაოების ჩატარებასა და მოდერნიზებაზე აიღებს. ამ დროისათვის გაფორმებულია რამდენიმე ხელშეკრულება. "თბილავიამშენის" ხელმძღვანელობამ კომპანიონების დასახელებისგან თავი შეიკავა.

„ᲰᲝᲜᲓᲐ ᲐᲙᲝᲠᲓᲘ„ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ

საიმედოობა და პრაქტიკულობა მანქანის მთავარ ღირსებად აღარ ითვლება. "ჰონდა აკორდი" – აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოდელი – 2003 წელს ახალ, ოცი პროცენტით უფრო მძლავრ ძრავას მიიღებს.

ეს ერთობ ნიშანდობლივი სიახლეა მოდელისთვის, რომელმაც 1976 წელს საიმოედოობისა და კომფორტის მაღალ სტანდარტებზე გამოთქვა პრეტენზია. ახლა "ჰონდა მოტორსისთვის" პირველ ადგილზე სიმძლავრე და გარეგნული იერია. ამიტომაც ის "აკორდის" ძრავას ცხენის ძალებს უმატებს, გარეგნულ იერს კი – პენს. მოდელის ღირსებათა ხაზგასასმელად ზოგიერთ მოდელს დიდ, ჩვიდმეტ დიუიმიან საბურავებზე შეაყენებენ. ახალგაზრდა ავტომოყვარულთა მოსაზიდად კი კარი ბოთლების ახალი, უფრო დახვეწილი სათავსებით იქნება აღჭურვილი.

"ჰონდა" გვპირდება, რომ სექტემბრის დასაწყისში გაყიდვაში გამოვა ახალი "აკორდი", რომლის ფასი, ამჟამინდელი მოდელის ფასთან შედარებით, "ოდნავ უფრო" მაღალი იქნება. ჯერჯერობით კი, "აკორდი" თავისი ოთხცილინდრიანი ძრავითა და გადაცემის მექანიკური სისტემით, თხუთმეტი ათას ხუთასი დოლარი ღირს, ექვსცილინდრიანი ძრავითა და ავტომატური ტრანსმისიით კი – ოცდახუთი ათას სამასი.

პრეტენზიულ მყიდველს უკვე ვეღარ ხიბლავს ეკონომიური და "იოლად მართვადი" ავტომანქანა. ამიტომაც ავტომეწარმეთა შორის კონკურენცია სტილისა და ტექნიკური მონაცემების დახვეწის ხაზით მიმდინარეობს. თანაც, საწვავის ფასი ბოლო დროს დაეცა, ასე რომ, "აკორდის" ერთ-ერთი მთავარი ღირსება – ეკონომიურობა – ცოტა არ იყოს, გაფერმკრთალდა. თუმცა, ის აშშ-ში ყველაზე მაღალი გაყიდვის მაჩვენებლის მქონე სედანად რჩება.

ცხენის ძალათა რაოდენობა დღეს სატრანსპორტო საშუალების თითქმის მთავარი მახასიათებელია, მაშინაც კი, როცა საუბარი მინი-ვენებს ეხება. გასულ წელს "ჰონდამ" პოპულარული მოდელის – "ოდისეას" ძრავის სიმძლავრე თხუთმეტი პროცენტით გაზარდა. მაშინ კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ "ჰონდამ" ამ შემთხვევაში "იმ მყიდველთა მრავალრიცხოვანი თხოვნა გაითვალისწინა, რომელთაც "ოდისეას" უფრო "ენერგიულ ამპლუაში" ხილვა სურდათ."

ახალმა ტენდენციამ საქმე მოუმატა დეტროიტელ ავტომეწარმეთა – "ჯენერალ მოტორსის", "ფორდ მოტორის" და "კრაისლერ გრუპის" "დიდ სამეულს", რომელიც, ძირითადად, საშუალო ზომისა და საშუალო ფასის მოდელებზე სპეციალიზდება. "ნისანი", "ტოიოტა", "ფოლცვაგენი" და იგივე "ჰონდა", თავიანთი მზარდი სიმძლავრითა და ტექნიკური დახვეწილობით, სულ უფრო და უფრო მეტად ართმევენ ბაზარს მოძველებულ ამერიკულ მოდელებს. ამ ბრძოლაში "დიდი სამეული" იძულებულია, მყიდველი სოლიდური ფასდაკლებებითა და უპროცენტო კრედიტებითაც კი მიიზიდოს.

"ჰონდას" გადაწყვეტილება, სასწრაფოდ "გააძლიეროს" "აკორდი", საკმაოდ რისკიანია: ამით შეიძლება პოპულარულ მოდელს, "ვოლვოს" მსგავსად, დიდი და წარმატებული "დამსახურებათა ნუსხა" გაუფუჭდეს. "CNW მარკეტ რისერჩის" ანალიტიკოსის, არტ სპინელას აზრით, "ვოლვოს" მცდელობა, გადაკეთდეს სპორტულ ბრენდად, ამცირებს მის გაყიდვას აშშ-ში: მყიდველები მიეჩვივნენ "ვოლვოს" შეფასებას, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხოების გამო, ახლა კი ბრენდის "სავიზიტო ბარათი" უფერულდება.

თუმცა, "ჰონდას" "აკორდის" იმიჯის განახლება მაინც სურს. "აკორდის" პირველმა ვარიანტმა – ჰეტჩბეკმა, რომელიც 1976 წელს, ნავთობკრიზისის შემდეგ გამოჩნდა გაყიდვაში, თავისი ეკონომიურობით დიდი ხმაური გამოიწვია: ზოგიერთ შემთხვევაში ის კონკურენტ მოდელებთან შედარებით ორმოცი პროცენტით ნაკლებ საწვავს ხარჯავდა. მოგვიანებით "აკორდმა" იმ განსაკუთრებით მოსახერხებელი ავტომობილის რეპუტაცია შეიძინა, რომელსაც მინიმალური მომსახურება სჭირდება. ოთხმოციანი წლების ბოლოს ის აშშ-ში ყველაზე პოპულარულ მოდელად იქცა და ამერიკულ ბაზარზე მისი გაყიდვის წლიურმა მაჩვენებელმა ოთხასი ათას ერთეულს მიაღწია.

ახლა პრეტენზიული ამერიკელები, რომლებიც ყიდვის წინ უამრავ მანქანას სინჯავენ, უპირატესობას მაინც "ფოლცვაგენსა" და "ნისან მოტორს" ანიჭებენ. აშშ-ში ყოველწლიურად ორასი ათასი "ნისან ალტიმა" იყიდება. გარდა ამისა, საშუალო ზომის ავტომობილთა ამერიკულ ბაზარზე "ფოლცვაგენ პასატმაც" მკვიდრად მოიკიდა ფეხი.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲐᲡ ᲝᲞᲔᲙᲘᲓᲐᲜ ᲔᲥᲐᲩᲔᲑᲐ

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲨᲐᲠᲐᲨᲕᲘᲜᲘᲫᲔ

ამერიკის ხელმძღვანელობას ახალი, სერიოზული ინტერესები გაუჩნდა აფრიკის უმდიდრესი სანავთობო ქვეყნის, ნიგერიის სახით. მოგეხსენებათ, ბოლო ნავთობი ვაშინგტონისათვის საკმაოდ მტკივნეულ პრობლემად იქცა. ამერიკას უკვე აღარ აიმედებს არაბული სამყაროს და კარგად აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ ნავთობმომარაგებაში საუდეთისა თუ ირანის იმედად ვერ დარჩება, მითუმეტეს 11 სექტემბრის შემდეგ წამოწყებული ანტიტერორისტული ოპერაციის შემდეგ, რომელმაც უკიდურესად გააღიზიანა მუსლიმური სამყარო. ასეთ ვითარებაში ვაშინგტონს "შავი ოქროს" ახალი, უფრო საიმედო მიმწოდებელი ესაჭიროება. აქამდე ასეთ მიმწოდებლად თითქოსდა რუსეთი მოიაზრებოდა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ეს "საპატიო" როლი აშშ-მა ნიგერიას დააკისროს.

ნიგერია ოპეკის წევრი გახლავთ. ანუ, იგი ამ ორგანიზაციის მიერ დაწესებულ კვოტებს ემორჩილება, მაგრამ ეს ამბავი ბოლო დროს დიდად არ ახარებს ქვეყნის ხელმძღვანელობას. ნავთობი ამ ღარიბი სახელმწიფოსათვის შემოსავლის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა და კვოტები და შეზღუდვები შემოსავალს, ცხადია, ამცირებს. ნიგერია ახლა ყოველდღიურად 1,9 მლნ ბარელს მოიპოვებს – ოპეკის მიერ მისთვის დაწესებულ კვოტაზე 200 ათასი ბარელით მეტს, რის გამოც ორგანიზაციასთან სერიოზული კონფლიქტიც აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ოპეკის თავჯდომარე ნიგერიელია. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ცოტა ხნის წინ ქვეყანაში ახალი საბადოები იქნა აღმოჩენილი, რომლებიც, სავარაუდოდ, ნიგერიას საშუალებას მისცემს დღეში კიდევ მლნ ბარელით გაზარდოს ნავთობმოპოვება. ამ ცნობამ, ცხადია, ერთობ დააინტრიგა დასავლეთის ნავთობკომპანიები, რომლებიც მზად არიან დღესვე ჩადონ მილიარდიანი ინვესტიციები ახალ საბადოებში, მაგრამ ვაი, რომ ნიგერია კვლავაც ოპეკის წევრია და მეტ-ნაკლებად მაინც უნდა დაემორჩილოს კვოტებს. ასეთ ვითარებაში კი ნავთობმოპოვების გაზრდას რა აზრი აქვს.

და აი, ვაშინგტონი ნიგერიას ერთი შეხედვით მეტად მარტივ გამოსავალს სთავაზობს. იგი მოუწოდებს ქვეყანას საერთოდ დატოვოს ოპეკი. ამის სანაცვლოდ ნიგერია ამერიკის უმთავრეს პარტნიორად იქცევა ნავთობმომარაგების სფეროში. ვაშინგტონში კარგად ესმით, რომ არაპროგნოზირებად და ამბიციურ რუსეთთან საქმის დაჭერას ნიგერიის, რბილად რომ ვთქვათ, არადემოკრატიულ, მაგრამ უფრო დამყოლ მთავრობასთან თანამშრომლობა სჯობს. გარდა ამისა, აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ნიგერიის მახლობლად ამერიკული ნავთობკომპანიების კუთვნილი არაერთი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა მდებარეობს.

აშშ ოფიციალურად არ აღიარებს, რომ იგი ოპეკიდან ექაჩება ნიგერიას. მაგრამ ეს ყველასათვის აშკარაა. ახლახან ნიგერიას ეწვია ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე აფრიკის საქმეებში უოლტერ კანშტაინერი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ნიგერიის ინფორმაციის მინისტრმა პირდაპირ განაცხადა: "აშშ ჩვენზე დაწოლას ახორციელებს, რათა ოპეკი დავტოვოთ, მაგრამ ჩვენ ამას არ ვაპირებთ." ამ შეხვედრიდან მალე კომენტარი გააკეთა სანავთობო პოლიტიკის სფეროში ნიგერიის მთავრობის მთავარმა მრჩეველმა და ოპეკის თავმჯდომარემ რილვანუ ლუკმანმა. მისი თქმით, ნიგერია ყველაფრის მიუხედავად კარგად გრძნობს თავს ოპეკში და ყოველგვარ გასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

განცხადებები საკმაოდ კატეგორიულად ჟღერს და ნიგერიელებს ამ კატეგორიულობის საფუძველი ნამდვილად აქვთ. ჯერ ერთი, რომ ქვეყანა ახლა ოპეკს თავმჯდომარეობს და გასვლა თუნდაც ამიტომ გაძნელდება. მეორეც, ამერიკასთან ასეთი დაახლოება მკვეთრად გააღიზიანებს ნიგერიაში მცხოვრებ მუსლიმებს, რომლებიც საკმაოდ მრავლად არიან.

მაგრამ ამ ფაქტორების მიუხედავად გაუგებარია, როგორ აპირებს ნიგერია თავისი ეროვნული ინტერესების განხორციელებას ოპეკის ფარგლებში. ბოლო მონაცემებით ბარელი გადაუმუშავებელი ნავთობის ფასი 25 დოლარს ჩამოსცდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოპეკი კვოტების აწევაზე არ წავა და ნიგერიას ჯერჯერობით ნავთობმოპოვების გაზრდაზე ფიქრი არ შეუძლია, თუკი ორგანიზაცია მართლაც არ მიატოვა. მარტო ნიგერია არ გახლავთ ასეთ ვითარებაში – ოპეკის კიდევ ერთი წევრი, ალჟირი დღეში 700 ათას ბარელს მოიპოვებს, როცა მლნ-ის მოპოვება შეუძლია. საუდის არაბეთი 7 მლნ-ს მოიპოვებს, არადა მისი პოტენციალი 10 მლნ-ს შეადგენს.

ასე რომ, ნიგერია ვერსად გაიქცევა და სასწაული თუ არ მოხდა (სასწაული კი ნავთობის ფასის მკვეთრი დაცემა იქნება, რაც ოპეკს კვოტებს ააწევინებს), ადრე თუ გვიან მოუწევს ვაშინგტონის წინანდადების მიღება. ქვეყანამ დიდძალი ფული ჩადო ოფშორული საბადოების ათვისებაში და კიდევ დიდძალი ინვესტიციების მოზიდვა შეუძლია, მაგრამ ოპეკის ფარგლებში ვერც ინვესტიციების მოზიდვა მოხერხდება და ის ფულიც დაკარგული იქნება.

ამიტომ იყო, რომ კანშტაინერი მშვიდად შეხვდა ნიგერიის ოფიციალურ პირთა მკვეთრ განცხადებებს. "რაც არ უნდა მოხდეს, აფრიკული ნავთობი ჩვენი სტრატეგიული ინტერესების ცენტრშია და დროთა განმავლობაში ჩვენ ამ საკითხს უფრო და უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ," – განაცხადა მან. ამერიკას კი, მოგეხსენებათ, თავის ინტერესებზე უარს იოლად ვერ ათქმევინებ.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲑᲐᲜᲙᲜᲝᲢᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ

2004 წელს იაპონიაში ახალ ფულად ნიშნებს გამოუშვებენ. ბოლოს ბანკნოტების განახლება 20 წლის წინათ განხორციელდა. ახალ იენებს სუპერთანამედროვე დამცავი ნიშნები ექნება, რადგან თავად ახალი ბანკნოტების გამოშვება სწორედ გაყალბების გასართულებლად გადაწყდა.

ხელისუფლებას სურს, ახალი ბანკნოტების ემისიით ეროვნულ ეკონომიკასაც უბიძგოს: ყველა იაპონური საბანკო კომპანია ვალდებული იქნება, ორი წლის განმავლობაში შეცვალოს თავისი ბანკომატები.

იაპონიის მთავრობის ამ განცხადების შემდეგ, საფონდო ბირჟაზე უკვე დაფიქსირდა ბანკომატებისა და საბანკო კუპიურების გამოშვებისთვის საჭირო მოწყობილობათა დამამზადებელი კომპანიების აქციების ზრდა. სამაგიეროდ, დაეცა იმ ბანკების აქციათა ფასი, რომელთაც მთავრობის გადაწყვეტილება დამატებით ხარჯებში ჩააგდებს.

რამდენადმე შეიცვლება იენის გარეგნული იერიც. იაპონური წეროების ნაცვლად, ათასიენიან ბანკნოტზე იაპონიის სიმბოლო - ფუძიამას მთა და მსოფლიოში კარგად ცნობილი იაპონური საკურა იქნება გამოსახული.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲡᲝᲤᲝ ᲙᲕᲘᲜᲢᲠᲐᲫᲔ

არასამთავრობო ორგანიზაცია "ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ 42-Ე ᲛᲣᲮᲚᲘ" სახალხო დამცველს, ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲡ კონსტიტუციის არცოდნაში ადანაშაულებს, კერძოდ კი მას უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში სდებენ ბრალს.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლებმა ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ადამიანთა უფლებების დარღვევის ორ ფაქტზე ისაუბრეს. ადვოკატების მიერ წარმოდგენილი მასალები პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს და თვით სახალხო დამცველის მიერ უფლებაშელახულ პიროვნებებს ეხება.

როგორც ერთ-ერთმა ადვოკატმა, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲮᲐᲩᲘᲫᲔᲛ განაცხადა, სახალხო დამცველი ადამიანთა უფლებებს უხეშად არღვევს. 2000 წლის ოქტომბერში სახალხო დამცველის რწმუნებულს, ცირა თელოიანს უთანხმოება მოუვიდა მეზობელთან, რომელმაც მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში საქმე აღიძრა. თუმცა, მოსამართლე ბიძინაშვილმა ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა არ შეუფარდა. სწორედ ეს ფაქტი გახდა სახალხო დამცველის აღშფოთების მიზეზი, მან პრესაში გამოაქვეყნა სტატია, სადაც ადამინის უფლებათა დამცველების დაუცველობაზე საუბრობდა და დამნაშავის დასჯას მოითხოვდა. განსხვავებულად მსჯელობენ "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები. **"ნანა დევდარიანმა დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, რადგანაც მან ძიებაში მყოფ პირს, რომელიც მიჩნეული იყო ბრალდებულად, პრესაში დამნაშავე უწოდა,"** – აცხადებს ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძე, რომელიც ბრალდებულის უფლებებს იცავს. ხაჩიძის განცხადებით, ბრალდებული, რომლის სახელსაც ის რატომღაც ასაიდუმლოებს, უდანაშაულოა. ხოლო დევდარიანის განცხადებას იგი შემდეგნაირად ხსნის: **"ნანა დევდარიანმა ან არ იცოდა საქმის რეალური ვითარება, ან სუბიექტური კომენტარი გააკეთა, რადგან ინციდენტი მისი აპარატის თანამშრომელს შეემთხვა. არის მესამე ვარიანტიც - სახალხო დამცველმა არ იცის, რა წერია კონსტიტუციაში უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ."**

"კონსტიტუციის 42-ე მუხლი"-ს მიერ მოწყობილი პრესკომფერენცია

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ნანა დევდარიანი გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ემზარ ბიძინაშვილს იუსტიციის საბჭოში მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებით ემუქრება . ხოლო რაც შეეხება იმ საქმის რეალურ ვითარებას, რომელზეც ადვოკატი ხაჩიძე საუბრობს, მან არ ისურვა ჟურნალისტებისთვის დეტალების გამხელა.

მეორე საკითხი, რომელზეც ადვოკატებმა პრესკონფერენციაზე ისაუბრეს, შეეხება თელავის პოლიციაში ადამიანის წამების ფაქტს, რომლის შესახებაც "24 საათი" უკვე წერდა.

"თელავის პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო შეთანხმებულად მუშაობდნენ და უდანაშაულო ადამიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე "შეკერეს". თელაველ ბაადურ ღვინიაშვილს ტაქსის მძღოლის დაყაჩაღებაში ედება ბრალი. თუმცა, სასამართლოს მტკიცებულებები არ გააჩნია და საქმე 2001 წლის ივნისის შემდეგ ჯერ კიდევ გამოძიებაში იმყოფება, - აცხადებს ადვოკატი ᲐᲠᲩᲘᲚ ᲩᲝᲤᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

როგორც ადვოკატის მონათხრობიდან ირკვევა, ღვინიაშვილი ფულის გამოძალვის მიზნით რამდენჯერმე გაიტაცეს ქისტებმა, მაგრამ მან ტყვეობიდან გაქცევა შეძლო. შემდეგ მას დაუკავშირდა ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელი ხვიჩა კოჭლოშვილი და პოლიციის აგენტობა შესთავაზა, იმ მოტივით, რომ ღვინიაშვილი კარგად ერკვეოდა ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვაში. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ღვინიაშვილმა ნარკოტიკების მოხმარების გამო სასჯელი უკვე მოიხადა. პოლიციის აგენტობაზე ღვინიაშვილმა უარი განაცხადა, რის შემდეგაც მას წესრიგის დამცველები დაემუქრნენ, რომ მის წინააღმდეგ საქმეს "შეკერავდნენ". ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პიროვნება ბაადურ ღვინიაშვილი უდანაშაულოა და ტაქსის მძღოლის დაყაჩაღების ბრალდება ადგილობრივი სამართალდამცავების შეთანხმებული მუშაობის შედეგად ხელოვნურადაა შექმნილი. **"ღვინიაშვილი უკანონოდ დააპატიმრეს, ამას ისიც ემატება, რომ პოლიციის განყოფილებაში სასტიკად სცემეს. იგი იმდენად მძიმედ იყო დაშავებული, რომ სასამართლოს, სადაც ღვინიაშვილისადმი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი იხილებოდა, თავად ბრალდებული ვერ დაესწრო,"** – განაცხადა არჩილ ჩოფიკაშვილმა. ადვოკატი იმასაც მიუთითებს, რომ თელავის პროკურატურამ ქისტების მიერ ღვინიაშვილის გატაცებისა და ცემის ფაქტზე საქმე არ აღძრა.

ამჟამად ღვინიაშვილის საქმე ხელახალ ძიებაშია დაბრუნებული.

ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები აცხადებენ, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის ნებისმიერი ფაქტი საზოგადოების ყურადღების საგანი უნდა გახდეს, მით უმეტეს, თუ ადამიანის უფლებათა შემლახველებად იმ უწყებების წარმომადგენლები გვევლინებიან, რომლებსაც, კონსტიტიუციის თანახმად, მოქალაქეთა დაცვა ევალებათ.

რუსი სენატორის ფანტაზია და რეალობა

იმის მიუხედავად, რომ თბილისი არ ეთანხმება პანკისის ხეობაში რუსეთთან ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარების იდეას, მოსკოვის სამხედრო-პოლიტიკური წრეები ამ რეიდს ქართულ მხარესთან შეთანხმებულად მიიჩნევენ; უფრო მეტიც, მოსკოვში აცხადებენ, რომ ორი ქვეყნის სპეცსამსახურები ამ მიმართულებით უკვე შეთანხმებულად მუშაობენ.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუსეთში მზადდება წინაპირობა, რათა პრეზიდენტმა პუტინმა თხოვნით მიმართოს პარლამენტის ზედა პალატას, პანკისში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებაზე.

საზოგადოებრივი აზრის შექმნაში რუს სამხედროებს დაეხმარა რუსეთის ფედერაციათა საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილ მარგელოვი, რომელმაც, საქართველოს ხელისუფლების იმპოტენციის გამო, აუცილებლად მიიჩნია პანკისში ჯარის შეყვანაზე პუტინისთვის მხარდაჭერა. რუს სენატორს მოჰყავს გერმანულ გაზეთ "ფრანკფურტენ ალგემაინე ცეიტუნგში" მოყვანილი ციატატები: **"ამერიკელების მცდელობა, დაეცვათ საქართველო, ჩაიშალა"; "კავკასიაში ტერორისტებთან ბრძოლას რუსეთი, ალბათ, თავის თავზე აიღებს"**.

"იმედი მაქვს, რომ ქართული მხარე კეთილგონივრულად მოიქცევა და თხოვნით მოგვმართავს," - ამბობს მარგელოვი. ეს განცხადებები სენატორმა 1 აგვისტოს ფსკოვში ყოფნისას გააკეთა, რასაც თბილისის მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ჟურნალისტებმა მარგელოვს ქართული მხარის რეაქციის კომენტირება სთხოვეს. სენატორმა თითქოს უკან დაიხია: "შესაძლებლად არ მიმაჩნია საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის არმიის სამხედრო მოქმედებები ანტიტერორისტულ ოპერაციაში საერთაშორისო კონსესუსისა და ამ ოპერაციაში რუსეთის პარტნიორი და მოკავშირე ქართული მხარის მონაწილეობის გარეშე," - განაცხადა 2 აგვისტოს მიხაილ მარგელოვმა. მან თბილისის ასეთ რეაქციას არაადექვატური უწოდა და უარყო, რომ იგი ვინმეს ომისაკენ მოუწოდებდა. მარგელოვმა თავი იმით იმართლა, რომ რუსეთის პარლამენტი დღეს არდადეგებზეა და მან მხოლოდ პირადი აზრი გამოთქვა, ჟურნალისტებმა კი მისი სიტყვები დაამახინჯეს. კერძოდ, რა ნაწილში დაუმახინჯეს ნააზრევი, მარგელოვს არ დაუკონკრეტებია. სენატორი იქვე აცხადებს: **"დარწმუნებული ვარ, გაეროს უშიშროების საბჭოში გამართული კონსულტაციების შემდეგ, პრეზიდენტი პუტინი თხოვნით მიმართავს პარლამენტის ზედა პალატას საქართველოსთან ერთობლივი სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე. პალატა მას დაეთანხმება"**.

როგორც ჩანს, მარგელოვი ფიქრმა და ოცნებამ იმდენად გაიტაცა, რომ ან მოვლენათა განვითარების ლოგიკა დაკარგა, ან, უბრალოდ, რეაქციულ კაკაფონიას შეუერთდა.

ვლადიმირ ჟირინოვსკი:
საქართველოში გარდაუვალია სამხედრო გადატრიალება, რომლის დროსაც შევარდნაძეს გაანადგურებენ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

- თქვენ - პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ამტკიცებთ, რომ რუსეთი არ მოერიდება საქართველოს ტერიტორიაზე ომის დაწყებას?

- საქართველოს ტერიტორიაზე ომისათვის რუსეთი არა მარტო მზად არის, არამედ ვალდებულიცაა, ეს ომი აწარმოოს, რადგანაც ჩვენ იქ საკუთარ მოქალაქეებს ვიცავთ. მე რომ დღეს რუსეთის პრეზიდენტი ვიყო და ასე დამიხოცონ საკუთარი მესაზღვრეები, პირველ რიგში, ისეთ განკარგულებას გავცემდი, რომ ჩრდილოეთ საქართველოსაგან, აბოლებული მოედნის გარდა, არაფერი დარჩებოდა. მეორე, რასაც მოვიმოქმედებდი, გენერალ კონსტანტინ ტოცკის სამხრეებს ჩამოვაგლეჯდი. კიდევ ერთ რუს მესაზღვრესაც თუ მოკლავდნენ, დავბომბავდი თბილისის მისადგომებს. მესამესაც თუ მოკლავდნენ, მე, პრეზიდენტი, გავანადგურებდი თბილისის მთელ ცენტრს, სადაც არ არის საცხოვრებელი მასივები. ზუსტად ასევე მოიქცეოდნენ ამერიკელებიც. ავღანეთი ისე დაბომბეს, რომ მისგან აღარაფერი დარჩა, სამაგიეროდ, ბანდიტებისაგან გაწმინდეს მთელი ტერიტორია.

- ნებისმიერ სამხედრო ოპერაციას ახლავს მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ნუთუ რუსეთის ხელისუფლება ანგარიშს არ გაუწევს, რომ იმავე პანკისის ხეობაში მშვიდობიანი მოსახლეობა ცხოვრობს?

- მე არ მითქვამს, რომ ქართველი ხალხი უნდა დავბომბოთ. პირველ რიგში, უნდა დაიბომბონ ბანდიტები და ის ქართველი ჩინოვნიკები, რომლებსაც ჩეჩენ ტერორისტებთან აქვთ კავშირი, ანუ მათი თანამზრახველები არიან.

- რომელი ქართველი ჩინოვნიკი გყავთ მხედველობაში? შეგიძლიათ, გვარები დაასახელოთ?

- ეს არის საქართველოს უშიშროების სამსახურის შეფი, ეს არის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ესენი არიან საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფების ცალკეული ხელმძღვანელები. ენით აუწერელ ველურობასთან გვაქვს საქმე საქართველოში. კიდევ რამდენი სისხლი უნდა დაიღვაროს? უკვე 20 კაცი დაიღუპა, შემდეგ 40 დაიღუპება, მერე 100. შეიგნეთ, რომ ამის დაშვება რუსეთს არ შეუძლია. ამიტომ სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად რეპეტიცია ან რუსეთის პარლამენტის თანხმობა არ გვჭირდება. ეს იმ შემთხვევაშია საჭირო, როცა იქ მუდმივი დისლოკაციისათვის ვაგზავნით მეომრებს, დავუშვათ, ბალკანეთში ან, თუ იქნება ამის მოთხოვნა, ავღანეთში. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ ვიცავთ საკუთარ საზღვარს. ამერიკას თუ აქვს უფლება, შეიჭრას უცხო სახელმწიფოში, როგორც ამას ჰქონდა ადგილი პანამაში - იღებს სასახლეს, აპატიმრებს პრეზიდენტ ნორიეგუს, მიჰყავს იგი, ასამართლებს და თავის ციხეში სვამს – ამის გაკეთება რუსეთს რატომ არ შეუძლია? მაგრამ ჩვენ როგორ ვიქცევით? ოცი წლის ჯარისკაცების სისხლით მოვრწყეთ მთელი კავკასია და თანაც დრო გაგვყავს. ეს დაუშვებელია. ტოცკის ეს პრობლემა ადრე უნდა მოეგვარებინა. მე მას, სამხრეების ჩამოხევასთან ერთად, თავსაც წავაგდებინებდი იმის გამო, რომ საქართველოს საზღვარზე რუსი მესაზღვრეები დაიღუპნენ. რუსეთ-საქართველოს საზღვრიდან ხუთ კილომეტრში მოკალათებული ბანდების განადგურებაზე ბრძანება ადრე უნდა გაეცათ, რადგანაც ისინი, საქართველოს ხელისუფლების უშუალო ხელშეწყობით, თავხედურად შემოიჭრნენ რუსეთის ტერიტორიაზე. ჩვენ კი ამის შემდეგ საქართველოსთან კიდევ რაღაც მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ.

- მე კარგად მახსოვს თქვენი ფრაზა: "ჩეჩენ ბოევიკებს საქართველოში შევრეკავთ და იქ გაანადგურებთ". საიდან აღმოჩნდნენ საქართველოში ჩეჩენი ტერორისტები და დაქირავებულები?

- ამაზე ქართველ ხალხს პასუხი უნდა გასცენ ჩვენმა და თქვენმა უსირცხვილო გენერლებმა, მათ პასუხი უნდა აგონ თითოეული ჯარისკაცის სიცოცხლეზე. ესენი ხომ გენერლები არ არიან - ხან ნავი ეძირებათ, ხან მესაზღვრეები ეღუპებათ, ჩვენ კი პოლიტიკურ დიალოგებს ვმართავთ. საერთაშორისო ტერორისტები დიდი ხანია, კავკასიაში მოკალათდნენ, მათი ეროვნება აქ გადამწყვეტ როლს არ თამაშობს - იქ ქურთებიც არიან, არაბებიც, თურქებიც. აქ მთავარია ერთი პრინციპული საკითხი: ეს ხალხი დღეს ემუქრება რუსეთის ეროვნულ ინტერესებს. ტოცკი ვალდებული იყო, საკუთარი

ვლადიმერ ჟირინოვსკი ИТАР-ТАСС

უფლებამოსილების ფარგლებში შეეწყვიტა ეს უმსგავსობა. რუსეთს ჰყავს სპეცსამსახურები, რომლებსაც პრეზიდენტის მითითებების გარეშეც შეუძლიათ, იმოქმედონ ისე, რომ ჩვენს საზღვრებს ვერავინ შეეხოს.

რაც შეეხება ჩეჩენ ტერორისტებს, რომლებიც ჩვენ საქართველოში შევრეკეთ, გეთანხმებით. ის, რაც დღეს საქართველოს საზღვარზე ხდება, ბუმერანგივით მოგვიბრუნდა - თავის დროზე ჩვენ ბასაევს და მის ძმებს, კრემლის ზოგიერთი ნაძირალას წაქეზებით, ნება დავრთეთ, სოხუმში ქართველების წინააღმდეგ ეომათ. იქ მათ ქართველების სისხლში იბანავეს, მერე სახლებში დაბრუნდნენ და ჩრდილოეთ კავკასია ააფეთქეს. ახლა შევარდნაძე იმავე მანევრს იმეორებს: სურს, იმავე ბანდიტების გამოყენებით, იმავე აფხაზებს გაუსწორდეს. იგი დარწმუნებულია, რომ ეს ასეც იქნება. მაგრამ იცის, რომ პანკისის პრობლემის ფესვები აფხაზეთშია. თავდაპირველად ჩვენ სოხუმს თბილისის წინააღმდეგ დავეხმარეთ, დღეს შევარდნაძეს ამ ბანდიტების დახმარებით სურს, სოხუმში საკუთარი ხელისუფლება აღადგინოს. ამიტომ სანამ აფხაზეთის საკითხი არ გადაწყდება, შევარდნაძისაგან ახალ-ახალ ნომრებს უნდა ველოდოთ.

- რამდენიმე დღეა, რუსეთის ავიაცია საქართველოს ტერიტორიებს ბომბავს, თანაც საზღვრის დარღვევას უარყოფს და საქართველოს აგრესიაში ადანაშაულებს. თქვენი აზრით, ლოგიკურია ასეთი ბრალდება?

- ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვუთხრათ ქართველ ხალხს, რომ ამოუცნობნიშნიანი საფრენი აპარატები, რომლებიც დღეს საქართველოს ტერიტორიებს ბომბავენ, არიან რუსეთისადმი კეთილად განწყობილი ქვეყნების თვითმფრინავები, რომლებიც მთელ საქართველოს რეგულარულად კვლავაც დაბომბავენ. თუ შევარდნაძეს ამის მერეც სურს, ბინ ლადენივით აქეთ-იქით ირბინოს, მაშინ გააგრძელოს ბანდიტების დახმარება და მათი გამოყენება. მას მეორე გზაც აქვს: თანხმობა მისცეს რუსეთს პანკისის ხეობაში სახმელეთო ოპერაციის ჩატარებაზე და ხეობა მთლიანად გაიწმინდება.

- თქვენ გინდათ თქვათ, რომ საქართველო-რუსეთის საზღვარზე მესამე ქვეყნის ავიაცია მოქმედებს? რომელი სახელმწიფოების თვითმფრინავებზეა საუბარი?

- ეს არ არის რუსეთის თვითმფრინავები და ჩვენ არ შეგვიძლია, მათ ავუკრძალოთ ამ ოპერაციის ჩატარება. მეტს არაფერს ვიტყვი.

- თქვენი აზრით, რითი დამთავრდება პანკისური ოპერაცია?

- პირველ რიგში, ბოლო უნდა მოვუღოთ რუსი მესაზღვრეების დაღუპვას, სანამ სექტემბერში "საქართველოს საკითხს" გადავწყვეტდეთ.

- როგორ უნდა გავიგოთ თქვენი განცხადება?

- მარტივად. შევარდნაძემ დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი, მთელი საუკუნე ჩვენ ერთი სახელმწიფო ვიყავით. დღეს იგი ბანდიტებს შეეკრა მარტო იმიტომ, რომ რუსეთის საზოგადოება საქართველოს წინააღმდეგ აამხედროს. მან რუსი ჯარისკაცების სისხლიც დაღვარა, არა მარტო ქართველებისა. ამიტომაც საქართველოში გარდაუვალია სამხედრო გადატრიალება, რომლის დროსაც ქართველი პატრიოტები და ქართული სპეცსამსახურების ოფიცრები შევარდნაძეს აუცილებლად გაანადგურებენ. დაიმახსოვრეთ: შევარდნაძე ძალზე ცუდად დაამთავრებს. მე თბილისში ორი წელი ვიმსახურე. მაშინაც ელოდნენ მასზე თადასხმას, როცა იგი საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი იყო. თანაც მაშინ სულ სხვა დრო გახლდათ. ახლა, მით უმეტეს, ალბათ, უკვე მომწიფდა შევარდნაძის ჩამოგდების იდეა. რამდენიმე შეთქმულებიდან ერთ-ერთი იმით დამთავრდება, რომ შევარდნაძე თავის პოსტს დატოვებს. და მაშინ საქართველოში მოვა ახალი ხელისუფლება, რომელიც პრორუსულად იქნება განწყობილი. ჩვენ მასთან მჭიდრო ურთიერთობით უმალ გადავჭრით აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ბათუმის პრობლემებს და გვექნება ძველებური, ნორმალური ურთიერთობები. მაგრამ აქამდე, სამწუხაროდ, რამდენიმე წლიანი სისხლის ღვრა მაინც გველოდება. ასეთია ჩემი პროგნოზი.

- რას იტყვით პრეზიდენტ პუტინის მიერ ქართველი მწყემსის დაჯილდოებაზე?

- ჩვენი პრეზიდენტი სწორად მოიქცა. მე, მაგალითად, იმ მწყემსს საკუთარ სახლსაც ვაჩუქებდი და მთელ საძოვრებსაც გადავცემდი. რადგანაც ამ უბრალო ადამიანმა ყველას აჩვენა იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა იმეგობრო მეზობელთან და როგორ არ უნდა გაყიდო იგი. მწყემსმა ხომ საკუთარი თავი და მთელი ნათესაობა ამით საფრთხეში ჩააგდო, ამიტომ მისი კეთილსინდისიერება უფრო მაღალ ჯილდოს იმსახურებს, რადგანაც მან მრავალი მსხვერპლი აგვაცილა თავიდან.

თენგიზ კიტოვანი:
შევარდნაძე, აშშ-ს ადმინისტრაციის საშუალებით, ვლადიმირ პუტინს მართავს

"ვრემია ნოვოსტეის" საინფორმაციო სააგენტომ 1 აგვისტოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების აქტუალურ თემებზე სასაუბროდ საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრი თენგიზ კიტოვანი მიიწვია.

ამ დღეებში მოსკოველები და ტურისტები საერთოდ ერიდებიან ქუჩაში გასვლას. გარეუბნების ტყეებში დამწვარი ტორფის მახრჩობელა აირების სიჭარბის გამო, მოსკოვის ქუჩებში მხუთავი ნისლი ჩამოწვა, მაგრამ ამას პრესისათვის ხელი არ შეუშლია. სააგენტოში პრესკონფერენციას მოსკოველი ჟურნალისტების სარეკორდო რაოდენობა დაესწრო.

კიტოვანმა ჟურნალისტებს შეახსენა, რომ იგი დიდი ხნის წინათ აფრთხილებდა საქართველოს ხელისუფლებას პანკისში საერთაშორისო ტერორისტების კონცენტრაციის შესახებ. ექს-მინისტრმა რუსეთი თავის დროზე ინგუშეთის ტერიტორიიდან პანკისის მიმართულებით 2000 სატვირთო მანქანის გაგზავნაში დაადანაშაულა. სწორედ ამ გზით მოხვდნენ ტერორისტები საქართველოში და ახლა მოსკოვის ბრალდებები უსაგნოა, - ამბობს კიტოვანი.

პრესკონფერენციაზე ყოფილმა მინისტრმა ისიც თქვა, რომ მას ეჭვი ეპარება ჰატაბის სიკვდილში და იგი დღეს ნებისმიერ ადგილას შეიძლება აღმოჩნდეს, ანუ ნებისმიერმა სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს. კიტოვანი ამტკიცებს, რომ პანკისის ხეობაში დღეს გელაევისა და ჰატაბის ხელწერა იგრძნობა.

კიტოვანმა ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხისას აღნიშნა, რომ აშშ-მ და რუსეთმა დღეს ერთობლივად უნდა გაწმინდონ პანკისის ხეობა, თუმცა მას ეჭვი ეპარება რუსეთის პრეზიდენტის კეთილსინდისიერებაში, რომელიც **"შევარდნაძის გავლენის ქვეშაა მოქცეული და აშშ-ს დავალებების ყურმოჭრილ შემსრულებლად იქცა"**. კიტოვანი აცხადებს, რომ **"დღეს შევარდნაძე, აშშ-ს ადმინისტრაციის საშუალებით, ვლადიმერ პუტინს მართავს"**.

თავდაცვის ექს-მინისტრს არარეალურად მიაჩნია საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ოპერაციის დაწყება, თუმცა იქვე ამბობს, რომ რუსეთი კონსტიტუციურად მართალი იქნება, თუკი საკუთარ შეიარაღებულ ძალებს საზღვრის დასაცავად საომარი მოქმედებების უფლებას მისცემს. იქვე ყოფილმა მინისტრმა ბრალი დასდო რუსეთს თავის დროზე დუდაევისა და მისი თანამოაზრეებისათვის იარაღის გადაცემაში.

"დღეს აშშ-რუსეთს შორის გავლენის სფეროების გადანაწილება მიმდინარეობს. ამ პროცესში საქართველო მნიშვნელოვნად ზარალდება, რადგანაც თავის დროზე სსრკ-ს დაშლა საქართველოდან დაიწყო, დღეს კი რუსეთი კავკასიიდან იშლება და ეს ხდება ამერიკული პროექტის მიხედვით, რასაც ელცინის პოლიტიკის მემკვიდრე პუტინი რუსეთში წარმატებით ახორციელებს," - განაცხადა პრესკონფერენციაზე თენგიზ კიტოვანმა.

კიტოვანის პრესკონფერენციაში მონაწილეობდა სოხუმის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი (ყოველ შემთხვევაში, იგი ასე წარუდგა ჟურნალისტებს), ამჟამად ლტოლვილი ჯემალ მიქელაძე, რომელმაც აფხაზეთში რუსეთის მოქმედებას დანაშაულებრივი უწოდა და კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის გაყვანა მოითხოვა, რადგან ისინი იქ, დესტაბილიზაციის მეტზე, არაფერზე ფიქრობენ.

"შევარდნაძე უნდა წავიდეს. აშშ და რუსეთი კი მოილაპარაკებენ," - დაასკვნეს კიტოვანმა და მიქელაძემ. ყოფილი რექტორი ჟურნალისტებს არწმუნებდა, რომ რუსლან გელაევს ტყვარჩელში საკუთარი ნავთობბაზა აქვს, რომ რუსი გენერლები თურქეთში ნაყიდ იარაღს, თავის დროზე, აფხაზეთში ყიდდნენ.

თენგიზ კიტოვანი საქინფორმის ფოტო

რუსი ჟურნლისტები დაინტერესდნენ, თუ რა როლის თამაში შეუძლია იგორ გიორგაძეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაზეც კიტოვანმა უპასუხა, რომ გიორგაძე კარგი ჩეკისტია, მაგრამ პრეზიდენტი ვერასოდეს გახდება, სამაგიეროდ, შეიძლება, მინისტრობას გამოჰკრას ხელი.

შეკითხვაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები აფხაზეთში, თავდაცვის ექს-მინისტრმა განაცხადა, რომ დღეს აშშ-სა და რუსეთს შორის აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზეც მიდის მოლაპარაკება და კოდორის ხეობის მოვლენებიც ამ ჭრილში განიხილება.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ როგორ ესახება ყოფილ მინისტრს საკუთარი მომავლი შევარდნაძის შემდგომ საქართველოში, რაზეც კიტოვანმა ასე უპასუხა: **"მე ჩემს ხალხთან ერთად ვიქნები, ამდენად თავისუფალი კაცის თანამდებობა უფრო მაწყობს"**.

რუს და უცხოელ ჟურნალისტებთან კიტოვანმა საუბარი ქუჩაშიც გააგრძელა. სააგენტო "მირ ნოვოსტეის" გენერალურმა დირექტორმა, მიხაილ ზუევმა კიტოვანს სთხოვა, იქნებ შემდეგ პრესკონფერენციაზე იგორ გიორგაძის მოყვანა მოვახერხოთო, რაზედაც ექს-მინისტრმა უპასუხა, რომ გიორგაძე სულ ერთსა და იმავეს ლაპარაკობს, მაგრამ მასთან ერთად სიამოვნებით გაარჩევდა ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხებს. მოძებნეთ და მოიყვანეთო, - თქვა მან.

გვერდი მოამზადა
რუსიკო ნიკურაძემ
საკ. კორ. მოსკოვში

www.24hours.ge 24 B

მესამე კანი

ყველაფერი უსასრულოდ მარტივია, ყველაფერი უსასრულოდ ლამაზია

ანა კორძაია-სამადაშვილი

ღამით ქალაქში გზა ამებნა და რაღაც შენობას მივადექი: კუთხე კუთხეს არ ჰგავდა, ოკრობოკრო კედლები ალაგ-ალაგ ჭადრაკისებური მოზაიკით იყო დაფარული, შენობას ოქროსფერი სფერო ადგა თავზე და მილიდან მოლურჯო კვამლი ამოდიოდა. ძალიან ჰგავდა ფანტასტიკურ ფილმს ან უბრალოდ ცუდ სიზმარს, აშკარად არ მესიამოვნა. შენობას რამდენჯერმე შემოვუარე და მაინც ვერაფერი გავიგე. მეორე დღეს ამიხსნეს, რომ თურმე, ვენის მთავარ ნაგავსაწვავთან ვყოფილვარ.

ასე შევხვდი პირველად ბრწყინვალე ოსტატს, ფრიდენსრაიხ ჰუნდერტვასერს.

თუ გაინტერესებთ, რაში გამოიხატება "პროტესტი სწორი ხაზების არასწორი წესრიგის წინააღმდეგ", ეწვიეთ ვენის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობას – ჰუნდერტვასერის სახლს. აქ იმართება საერთაშორისო გამოფენები, მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებები. ამ სახლში ყველა შინ გრძნობს თავს. თუმცა, ის არანაირ ნორმას არ შეესაბამება. "ეს თანამედროვეობის თავდგადასავალია, შემოქმედებითი არქიტექტურის სამყარო, მელოდია თვალისა და ფეხებისთვის," – თითქოს გაპრანჭული ნათქვამია, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა, ვინც ჰუნდერტვასერის სახლში ყოფილა, სავსებით ეთანხმება ამგვარ შეფასებას.

"ვენის ხელოვნების სახლი" არის "უაზრო წესრიგის ქაოსთან პირველი დაპირისპირება." არქიტექტორმა დიდი მისია დააკისრა თავის ქმნილებას: "ხელოვნება უნდა გათავისუფლდეს მართვადი კულტურული პოლიტიკის, სპეკულაციისა და ხელოვნების ინდუსტრიის ბორკილებისაგან, ხელოვნების თეორიების დამანგრეველი გავლენისაგან."

ამ სახლის ფასადის მსგავსი, ალბათ, ჯერ არ შეგხვედრიათ: არაა ბრტყელი და სწორი, ტალღოვანია და თან ნაირფერი მოზაიკით დამშვენებული. იატაკიც უჩვეულოა, არც სწორი და არც ოღროჩოღრო, არამედ ტალღოვანი: "სწორი იატაკი არქიტექტორთა გამოგონებაა. ის სწორია და არა მართალი."

ჰუნდერტვასერის აზრით, ვინაიდან თანამედროვე ადამიანი იძულებულია ასფალტით თუ ბეტონით დაფარულ, გადასწორებულ სიბრტყეზე იაროს, და დიზაინერებიც ყველაფერს სახაზავით გეგმავენ, იკარგება კავშირი მიწასთან, ადამიანი მიწას აღარ ეხება. მისი ჩანაფიქრის თანახმად, ტალღოვანი იატაკი კვლავ ჩვენს არსთან გვაბრუნებს, ანუ საკუთარ თავს გვიბრუნებს. არქიტექტურის მიზანი ხომ ადამიანის ამაღლებაა და არა დამცირება, მაშ, რად გვაკეთებინებს არქიტექტურა იმას, რაც საკუთარ სახეს დაგვაკარგინებს?

ვენის ხელოვნების სახლი.

დაპირისპირება უაზრო წესრიგის ქაოსთან.

ვენის ნაგავსაწვავი.

ერთხელ მაინც ენდეთ ჰუნდერტვასერს, გაიარეთ მის ჯადოსნურ ტალღოვან იატაკზე, დაისვენეთ მის უცნაურ სახლში, და იქნებ მართლაც დაიბრუნოთ "ადამიანური წონასწორობა"... თავიდან კი ცოტა უხერხული გრძნობაა, მაგრამ მალე მიეჩვევით.

მაშინაც კი, როცა არც ხელოვნება გაინტერესებთ და არც ჰუნდერტვასერის ფილოსოფია, მაინც შედით "ვენის ხელოვნების სახლში" და კაფეს მიაშურეთ, შესანიშნავი ადგილია. ვეგეტარიანელებს აქ განსაკუთრებული სიამოვნება ელით, თუმცა არც სხვები დაიჩაგრებიან. ჩაროზიც საარაკოა, მთელს ქალაქში სახელგანთქმული. გარეთ სხვა სამყაროა, ცენტრალური ევროპა, ავსტრიის დედაქალაქი, თქვენ კი ჯუნგლებში ხართ – შექმნიდან შვიდ წელიწადში ხელოვნური ბაღი ნამდვილ წალკოტად იქცა.

მოკლედ, სამოთხეა. ჰუნდერტვასერი აშკარად მართალი იყო: "სამოთხის შექმნა მხოლოდ თავად შეგვიძლია, როცა ჩვენი საკუთარი შემოქმედება ბუნების შემოქმედებასთან ჰარმონიულია... სამოთხე, რომელსაც ყველა ელტვის, აგერაა, უბრალოდ ხელი უნდა გაიწოდო. სამოთხე აქაა, ჩვენ მას უბრალოდ ვანგრევთ. მე იმის ჩვენება მინდა, რომ სინამდვილეში ძალიან იოლია ამქვეყნად სამოთხეში ყოფნა."

მუზეუმის მაღაზიაშიც ღირს შესვლა – იაფიაო, ვერ იტყვით, მაგრამ აქ სრულიად განსაკუთრებული ნივთების შეძენა შეიძლება: ხელოვნების ნიმუშებისა და საჩუქრების იდეებიც კი თავად ოსტატ ჰუნდერტვასერს ეკუთვნის და საუკეთესო ხარისხისაა, ძვირფასი ლითონებისა და მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა მასალისაგან დამზადებული.

"მე ჯადოქარი ვარ და მანამდე ვჯადოქრობ, სანამ ნახატი არ შეივსება. როგორც ჭიქა ივსება წყლით." - ეს მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ხელოვანის, მხატვრის, არქიტექტორისა და ფილოსოფოსის, ფრიდენსრაიხ ჰუნდერტვასერის სიტყვებია. ის 1928 წლის 15 დეკემბერს დაიბადა ვენაში, ოღონდ იმხანად ფრიდრიხ სტოვასერი ერქვა (დიდ არაფერი განსხვავებაა: сто-ც და hundert-იც "ასს" ნიშნავს). მამამისი პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა, დედის 69 ებრაელი ნათესავი 1943-ში დახოცეს: ავსტრიელებისათვის დაუდგენელი, ჩეხურ-ებრაულ-ავსტრიული წარმოშობის ახალგაზრდისთვის დიდად ნათელი წლები არ იყო.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა გმირმა ხატვა ადრიანად დაიწყო და სათანადო განათლებაც მიიღო. ახალგაზრდობაში ბევრს მოგზაურობდა, მერე პარიზში ამოჰყო თავი. სწორედ იქ მიაგნო საკუთარ სტილს და სახელიც შეიცვალა – ჰუნდერტვასერი გახდა.

ხანმოკლე დეკორატიულ-აბსტრაქტული პერიოდის შემდეგ 1953 წელს პირველი სპირალი დახატა, შეიმუშავა "ტრანსავტომატიზმის" თეორია და თავისი ნახატების დანომვრა დაიწყო. მას ეკუთვნის არქიტექტურაში რაციონალიზმის წინააღმდეგ მიმართული "დაობების მანიფესტი" მანიფესტები Humus Toilette, Dein Fensterrecht - Deine Baumpflicht; მან დააარსა "პინტორარიუმი" – უნივერსალური აკადემია ხელოვნების ყველა მიმართულებისათვის; ჰუნდერტვასერის გამოფენები ყველა კონტინენტზე იხსნებოდა, მისი ნახატები ამშვენებდა უდიდეს გალერეებს და საფოსტო მარკებს, მისი უჩვეულო არქიტექტურის შედევრებს მრავალ ქალაქში შეხვდებით (და ნამდვილად არაფერში აგერევათ), მიღებული ჯილდოების ჩამოთვლა კი მეტისმეტად შორს წაგვიყვანდა.

პირადი ცხოვრებაც საკმაოდ მრავალფეროვანი ჰქონდა: პირველად ჰიბრალტარში დაქორწინდა; მეორე ცოლი იაპონიაში ითხოვა; მერე ცალმხრივი სიყვარულიც ესტუმწელს პირველი სპირალი დახატა, შეიმუშავა "ტრანსავტომატიზმის" თეორია და თავისი ნახატების დანომვრა დაიწყო. მას ეკუთვნის არქიტექტურაში რაციონალიზმის წინააღმდეგ მიმართული "დაობების მანიფესტი" მანიფესტები Humus Toilette, Dein Fensterrecht - Deine Baumpflicht; მან დააარსა "პინტორარიუმი" – უნივერსალური აკადემია ხელოვნების ყველა მიმართულებისათვის; ჰუნდერტვასერის გამოფენები ყველა კონტინენტზე იხსნებოდა, მისი ნახატები ამშვენებდა უდიდეს გალერეებს და საფოსტო მარკებს, მისი უჩვეულო არქიტექტურის შედევრებს მრავალ ქალაქში შეხვდებით (და ნამდვილად არაფერში აგერევათ), მიღებული ჯილდოების ჩამოთვლა კი მეტისმეტად შორს წაგვიყვანდა.

პირადი ცხოვრებაც საკმაოდ მრავალფეროვანი ჰქონდა: პირველად ჰიბრალტარში დაქორწინდა; მეორე ცოლი იაპონიაში ითხოვა; მერე ცალმხრივი სიყვარულიც ესტუმრა და ძალიან მძიმედ განიცადა, მაგრამ ეს არაფერი იყო მარადისობასთან შედარებით!

განა რა სჭირდება ადამიანს ბედნიერებისათვის? "ყველაფერი, რასაც რელიგიები და დოგმატიკოსები და სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებები ჰყვებიან, სრული სისულელეა." ასეთი აზრების მქონე ხელოვანს, ცხადია, კონფლიქტი მოუვიდა საზოგადოებასთან, რომელმაც, მისი თქმით, სრულიად არასწორად გაუგო – ჰუნდერტვასერი უბრალოდ ექსცენტრულ და აუტანელ ტიპად მიაჩნდა. საკმაოდ ძნელი დასაჯერებელია, რომ "მესამე კანის" თეორიის დედიშობილად წარმდგენი შემოქმედი თავს არავის აწონებდა და არავის შოკირებას არ ცდილობდა – მაგრამ მართლა ასეთი იყო! "რატომ არ შეიძლება ადამიანმა, როგორც ყვავილმა, ის აკეთოს, რაც მის ბუნებას შეესაბამება?" ფერადოვანი, მრავალფეროვანი ხომ ნებისმიერ შემთხვევაში სჯობს ნაცრისფერს, საერთოდ, რა საშინელებაა – სულ ნაცრისფერი...

სწორედ ამიტომ გახდა ფერადი ფანჯრები მისი "სავიზტო ბართი": "ადამიანს სამი შრე აკრავს გარს – კანი, ტანსაცმელი და კედლები," ამბობდა ჰუნდერტვასერი. "ბოლო ხანებში ტანსაცმელი და შენობების კედლები იმგვარად ვითარდება, რომ აღარ შეესაბამება თითოეულის ბუნებრივ მოთხოვნებს. მესამე კანი ფანჯრებითაა დასვრეტილი, როგორც პირველი კანი - ფორებით. ფანჯრები თვალების ექვივალენტია. ფანჯრები ხიდია შინაგანსა და გარეგანს შორის."

ჰუნდერტვასერს არ მოსწონდა ცხოვრების ის წესი, რომელსაც საზოგადოება სთავაზობდა: იცხოვრე გამოზომილად; იყავი ფრთხილი, მომჭირნე, ყველაფერი აწონ-დაწონე და თავი არავის მოატყუებინო. "ეს იგივეა, რაც ჭამა და მოსაქმება; უბრალოდ, საქმე ისაა, რომ იმასვე ვჭამთ, რასაც ვისაქმებთ." მისთვის მხოლოდ ერთი ღვთაებრივი საქმიანობა არსებობდა – მხატვრობა. "გათიშე ნება, გათიშე გონება, გათიშე უკეთ კეთების სურვილი. სინამდვილეში იმპულსი გარედან მოდის, რაღაც სხვა რამისგან, რასაც არ ვიცნობთ, ეს ძალა არ განისაზღვრება – ან მოდის, ან არ მოდის, და ჩვენს ხელს მართავს. ადრე ამას მუზას უწოდებდნენ; ბრიყვული სიტყვაა, მაგრამ რაღაცას მაინც ნათელს ჰფენს."

2000 წელს, წყნარ ოკეანეში, 72 წლის ასაკში უკვე ლეგენდად ქცეულ ჰუნდერტვასერს გემზე გულის შეტევა დაემართა. ის ახალ ზელანდიაში დაკრძალეს, საკუთარი მიწის ნაკვეთზე, ხის ძირას, "ბედნიერ მიცვალებულთა ბაღში."

ნორმან ფოსტერის ახალი პროექტი ტემზის სანაპიროზე

ნინო ჭანიშვილი

სერ ნორმან ფოსტერმა, რომელიც 2002 წლის 30 ივლისს არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირმა ოგიუსტ პერეს პრიზით დააჯილდოვა, ლონდონში ახალი ნაგებობა წამომართა. City Hall-ი საზეიმოდ გახსნეს ინგლისის დედოფალმა და პრინცმა ფილიპმა.

მსოფლიო Hi-tech-ის ლიდერის ახალი პროექტის ამოცანა იყო, თავისი გახსნილობით დემოკრატიის მოდელი განესახიერებინა. აქ განთავსდება ლონდონის ასსამბლეის პალატა, ქალაქის მუნიციპალიტეტის ოფისები, მაღაზიები, კაფეები. ფოსტერის პროექტმა ასევე მოიცვა დიდი ლანდშაფტური სივრცე ტემზის სანაპიროზე, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აუთვისებელი იყო. მიწისქვეშა გზა, საშუალებას იძლევა, რომ ნაგებობის გარშემო არსებული ლანდშაფტური გარემო თავისუფალი იყოს ტრანსპორტისგან და 24 საათის განმავლობაში ფეხით მოსიარულეები მდინარის სანაპიროთი დატკბნენ. ათსართულიანი, სფეროს ფორმის შენობა უჟანგავი ფოლადითა და გაპრიალებული მინითაა ნაგები. შენობა მაქსიმალურად იცავს ეკოლოგიურ მოთხოვნებს და მინიმალურად დახარჯავს ელექტრო ენერგიას. იგი ბუნებრივი ვენტილაციის საშუალებით გაგრილდება.

ნორმან ფოსტერი ბრიტანელების ეროვნულ ღირსებას წარმოადგენს. 1990 წელს იგი რაინდად თავად ინგლისის დედოფალმა აკურთხა, 1999 წელს მას ლორდის წოდება მიენიჭა. ფოსტერი არქიტექტორულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემიის "პრიტცკერის" ლაურეატი გახლავთ. მის მიერ დაარსებული კომპანია Foster and Partners მთელ მსოფლიოში ახორციელებს გრანდიოზულ პროექტებს: ჰონ-კონგის ახალი აეროპორტი, გერმანიის პარლამენტის შენობა ბერლინში, სტენფორდის უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრი კალიფორნიაში, კომერცბანკი ფრანკფურტში. ეს უკანასკნელი ყველაზე მაღალი შენობაა ევროპაში. მინით გადახურული ყველაზე დიდი მოედნის ავტორიც სერ ნორმან ფოსტერი გახლავთ - 1993 წელს გამოცხადდა კონკურსი, რომლის მთავარი ამოცანა იყო ბრიტანეთის მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზების გაზრდა, შიდა ეზოს გადახურვის საშუალებით. კონკურსში ნორმან ფოსტერმა გაიმარჯვა და ბრწყინვალედაც განახორციელა ბრიტანეთის მუზეუმის რეკონსტრუქცია.

ისე კი მსოფლიოს ყველაზე წარმატებული არქიტექტორის ყველა სუპერპროექტმა როდი გაამართლა. რაიხსტაგში, მინის გუმბათის დამჭერი რეზინები ჩამოკონწიალდა. ლონდონში მის მიერ დაპროექტებული, ტეიტის ახალი გალერეიდან წმინდა პავლეს ეკლესიამდე გადაჭიმული ხიდის ექსპლუატაციას ვერ იწყებენ – ხიდი ვიბრაციას განიცდის და ბრიტანელები ვერაფერს უხერხებენ. ფოსტერის მიერ ლონდონში აშენებულმა ათასწლეულის გუმბათმა, სადაც საექსპოზიციო დარბაზები უნდა განთავსებულიყო, ვერ გაამართლა. შენობა ერთი წელი ვერა და ვერ აამოქმედეს, სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით კი, ის თავისი ფორმებით და მასშტაბურობით საშინელ დეპრესიას ჰგვრიდა ბრიტანელებს. ბოლოს ათასწლეულის გუმბათი ლოს-ანჟელეს ლეიკერსის მფლობელმა შეიძინა და სპორტულ დარბაზებად აქცია. მიუხედავად მცირე ხარვეზებისა, ფოსტერის კულტი მაინც ურყევია დიდ ბრიტანეთში.

მონუმენტური, ტექნოგენური სამყაროების შემქმნელის დევიზი კი ასეთია: პროექტის ხარისხს განსაზღვრავს არა მისი სიძვირე, არამედ დროისა და ფულის რაციონალურად გამოყენება. ნორმან ფოსტერი თავის ტექნოგენურ პროექტებში ხშირად იყენებს საწარმოო ნარჩენებს, ასევე მოიქცა იგი სითი-ჰოლის შემთხვევაშიც - მან ნარჩენების სოლიდური რაოდენობა გამოიყენა და იგი 30 თვეში, თავის დროზე,

ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით აშენდა.

რაიხსტაგის შენობა ბერლინში.

სერ ნორმან ფოსტერი.

ბერლინში, ახალი პარლამენტის შენობის წინ დედოფალი ელიზაბეტი ნორმან ფოსტერთან ერთად.

ფეხბურთი

ჩემპიონატი სკანდალით დაიწყო

ჰაატა თოთაძე

ჩემპიონატის პირველი ტურის ერთადერთ მატჩში იყო თამაში, იყო ალალი ბრძოლა, იყო გოლი - თანაც არაერთი, იყო წაკინკლავებაც და, ამავე დროს, იყო სკანდალი. სკანდალი, რომელმაც, შესაძლოა, ქართული ფეხბურთის ყოფა კიდევ უფრო სავალალო გახადოს. აი, ასეთი იყო საქართველოს მე-14 ეროვნული ჩემპიონატის პირველი დღე, რომელმაც ხუთის ნაცვლად ფეხბურთის მოყვარულთ მხოლოდ ერთი მატჩი აჩუქა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჩემპიონატში მონაწილე სამმა კლუბმა - თბილისის "მერანმა", ზესტაფონის "მეტალურგმა" და წნორის "მილანმა" - ჩემპიონატში მონაწილეობისათვის დაწესებული 22 000 ლარის გადახდა დროულად ვერ მოახერხა. ჩემპიონატის დებულებიდან გამომდინარე კი იმ კლუბებს, რომელთაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ დავალიანება აქვთ, ჩემპიონატში მონაწილეობა ეკრძალებათ. ავჭალაში "მერანი" – "გორდას" მატჩის განსასჯელად მისული მსაჯთა ბრიგადა და კომისარი მატჩის დაწყებამდე შეყოვნდნენ, შემდეგ კი ფედერაციის მითითებას მიჰყვნენ და უკან გაბრუნდნენ - თანხის გადაუხდელობის გამო "მერანს" თამაშის უფლება არ მიეცა. მატჩის ჩაშლის მიზეზად "მერანი" დასახელდა, მაგრამ როგორც მოგვიანებით სტადიონზე შეკრებილებმა გაარკვიეს, თანხა არც რუსთაველებს ჰქონიათ გადახდილი. ამან თბილისური კლუბის ხელმძღვანელობას იმედი მისცა, რომ ფედერაცია მათ წაგებას არ ჩაუთვლიდა, თუმცა...

"ორშაბათს გავარკვევთ, გადმორიცხეს თუ არა დროულად რუსთაველებმა ფული და თუ აღმოჩნდება, რომ მათ ეს ვერ მოახერხეს, ორივე გუნდს ჩაეთვლება ტექნიკური წაგება. ჩვენ იმ დათმობაზე წავედით, რომ გუნდებს სრული თანხის ნახევრის გადახდის შემთხვევაშიც ვაძლევდით ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას, მაგრამ არც ეს გააკეთეს. ასეთ დათმობაზე იმიტომ წავედით, რომ შემდეგ ლაპარაკი არ დაეწყოთ, არჩევნების გამო გვთხოვენ თანხის გადახდასო. ერთ კვირას კიდევ ვაცდით და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებთ", - "24 საათთან" საუბარში განაცხადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ. ძნელი სათქმელია, რა იქნება ერთი კვირის შემდეგ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, კლუბები ფედერაციის მოთხოვნას ვერ ან არ დააკმაყოფილებენ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ზესტაფონის "მეტალურგს" გუშინვე შეეძლო პრობლემის მოგვარება, მაგრამ ეს არ გააკეთა. მიზეზებზე მომავალში ვისაუბრებთ, ახლა კი მომხდარზე შევჩერდებით. ჩვენი კორესპონდენტის, თეიმურაზ ფირცხალავას თქმით, მატჩამდე კლუბის პრეზიდენტმა, მდივანმა 10 000 ლარი გადასცა შეხვედრის კომისარს ანატოლი მილჩენკოს და თითქოს მატჩის გამართვასაც წინ არაფერი ედგა, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, პრეზიდენტმა ეს ფული უკან მოითხოვა. ამის შემდეგ საქმეში ზესტაფონის გამგებელი ჩაერთო. მილჩენკომ ახლა უკვე მისგან მიიღო ის 10 000 ლარი, რომელიც ცოტა ხანში მდივანმა ისევ უკან წაიღო. "არჩევნების ჩატარებამდე მხოლოდ 4 000 ლარის გადახდა გვეკუთვნის და მას გადავიხდით, თუ პრეზიდენტი კვლავ მერაბ ჟორდანია გახდება, დარჩენილ 18 000 მეორე დღესვე დავამატებთ, თუ არადა ბატონი დავით პეტრიაშვილი საერთოდ გვათავისუფლებს საწევრო შესატანისგან და ეს ხარჯი აგვცდება". ასე ახსნა თავისი საქციელი "მეტალურგის" პრეზიდენტმა. ანატოლი მილჩენკო კი აღშფოთებას ვერ ფარავდა: "ეს რა ბავშვური საქციელია, თუ მაძლევდნენ თანხას, რაღას მართმევდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თავად მდივანი ვიღაცისგან იმართებოდა და გადაწყვეტილებებს საკმაოდ ხშირად ამიტომაც ცვლიდა. აბა, რას შეიძლება მივაწეროთ მისი ყოველ წუთში ტელეფონზე საუბარი".

შედარებით წყნარად განვითარდა მოვლენები ფოთში, სადაც "კოლხეთს" წნორის "მილანისთვის" უნდა ემასპინძლა. დავალიანების გამო წნორელებს თამაშის ნება არ მიეცათ და ისინიც შინ გაბრუნდნენ.

მოკლედ, ქართული საფეხბურთო სამყარო, რომელიც არასდროს გამოირჩეოდა სიმშვიდით, ტრადიციას არ ღალატობს. საინტერესოა, ასე როდემდე გაგრძელდება.

კანონს ყველამ პატივი უნდა სცეს და დაემორჩილოს. რაც მთავარია, ის ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს. ამის გათვალისწინებით, ამ სამ კლუბს ფედერაციის მხრიდან საჯარიმო სანქციები მართლაც ეკუთვნის, მაგრამ საქართველო ხომ ისეთი ქვეყანაა, სადაც კანონი, რბილად რომ ვთქვათ, ყოველთვის არ კანონობს.

იმ ერთადერთ მატჩში "ლოკომოტივმა" 3:0 მოუგო "დილას".

„რეალი" შეტევაზე გადადის - მადრიდელები რონალდოს ყიდულობენ

აკა ტონია

რონალდო REUTERS

წლევანდელ სატრანსფერო სეზონზე "რეალი" პასიურობით გამოირჩევა. მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე მადრიდელებმა რონალდოს, რივალდოსა და რონალდინიოს შეძენის სურვილი გამოთქვეს, თუმცა, ვერც ერთი ვერ შეიძინეს. რონალდინიომ "პარი სენ ჟერმენში" დარჩენა ამჯობინა, რივალდო "რეალმა" ბოლო მომენტში იტალიურ "მილანს" დაუთმო. რონალდომ "ინტერს" ხელფასის გაზრდა მოსთხოვა და როდესაც ამ უკანასკნელმა ეს პირობა დააკმაყოფილა, ფეხბურთელმა მილანში დარჩენის თაობაზე გააკეთა განცხადება.

მაგრამ, როგორც ჩანს, რონალდოს საკითხი მადრიდელთათვის ჯერ კიდევ აქტუალურია. ესპანური რადიომაუწყებელი "Cadena Ser"-ი იუწყება, რომ "რეალმა" და რონალდოს მენეჯერმა ალეშანდრე მარტინსმა ოთხწლიანი კონტრაქტის თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს. თუმცა, ჯერ უცნობია რონალდოს ამჟამინდელი კლუბის "ინტერის" რეაქცია. ტრანსფერის განხორციელებისთვის "ინტერის" თანხმობა აუცილებელია.

"რეალის" მენეჯერი ხორხე ვალდანო რაიმე კონკრეტულ შეთანხმებას უარყოფს, თუმცა, იქვე აცხადებს: "როდესაც სატრანსფერო ბაზარზე არსებობს ისეთი ფეხბურთელი, როგორიც რონალდოა, "რეალს" ის ყოველთვის დააინტერესებს".

ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ვცადეთ, ალეშანდრე მარტინსს დავკავშირებოდით. გვიპასუხეს, რომ რონალდოს მენეჯერი საქმიანი ვიზიტით ესპანეთში იმყოფება. თუ რა საქმეზეა მარტინსი ესპანეთში, ეს უკვე კარგად ვიცით.

თუ რონალდო მართლაც გადავა "რეალში", "სამეფო კლუბისთვის" ის მესამე ფეხბურთელი იქნება (ზიდანისა და ფიგუს შემდეგ), რომლებიც სხვადასხვა დროს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს ფლობდნენ.

საფრანგეთის სახეშეცვლილმა ლიგამ სტარტი აიღო

ანდრე ლუისის (მარჯვნივ) ტრანსფერი ყველაზე ხმაურიანია საფრანგეთში REUTERS

ქვეყნის ჩემპიონატში რეფორმების განხორციელება ფრანგებს ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას სურდათ, მაგრამ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მიერ განცდილი მარცხის გამო ცვლილებები დროულად ვერ განხორციელდა.

ახლა კი ფრანგებმა კვლავ მოიცალეს საკუთარი ლიგისთვის და რეფორმა ჩემპიონატის სახელის შეცვლით დაიწყეს. "Premiere Division"-ის (D1) ნაცვლად, საფრანგეთის უმაღლეს ლიგას ამიერიდან "Ligue une" (L1) ერქმევა.

პარასკევს, 2 აგვისტოს, საფრანგეთის მორიგმა ჩემპიონატმა სტარტი აიღო. დასახელების გარდა, სიახლეა მონაწილე გუნდების რაოდენობაშიც – წინა წლებისგან განსხვავებით, ამ სეზონში, საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში, 18-ის ნაცვლად, 20 გუნდი ჩაერთო. UEFA ამ ცვლილების წინააღმდეგი იყო, თუმცა, ფრანგებმა ეს პროექტი მაინც განახორციელეს. ამიერიდან, ინგლისისა და ესპანეთის მსგავსად, საფრანგეთის ახლა უკვე "Ligue une"-შიც 20 გუნდი იასპარეზებს.

ეს ცვლილება პირველ რიგში გაახარებდა მეორე დივიზიონის კლუბ "ნიცას", რომელიც უმაღლეს ლიგაში დამატებული ადგილების ხარჯზე "Ligue une"-ში აღმოჩნდა.

ფავორიტები არ შეცვლილან

პარასკევს საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი და იმ დღეს ერთადერთი მატჩი გაიმართა. "გინგამმა" საკუთარ მოედანზე "ლიონს" უმასპინძლა. შეხვედრა ფრედ - 3:3 დასრულდა. საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონი "ლიონი" წლევანდელ გათამაშებაშიც ფავორიტად მიიჩნევა. უკანასკნელ წლების წარუმატებლობის მიუხედავად, პარიზის "პარი სენ ჟერმენი" მაინც ფავორიტია. დედაქალაქის კლუბმა საფრანგეთის წლევანდელი სეზონის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა, როდესაც ამ ზაფხულს მარსელის "ოლიმპიკიდან" რვა მილიონი ევროს სანაცვლოდ ანდრე ლუისი გადმოიყვანა. გარდა ამისა, "პარი სენ ჟერმენმა" შეინარჩუნა რონალდინიო, რომლის სახით პარიზელებს საფრანგეთის ჩემპიონატში მოასპარეზე ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონი ჰყავთ.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ჟაკ სანტინი დაინიშნა, "ლიონს" ნაკრების ყოფილი წევრი პოლ ლე გუენი ჩაუდგა სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ ეს კლუბი 100 მილიონი ევროთი საფრანგეთის ყველაზე მდიდარ გუნდად იქცა, ლიონელებს წლეულს არც ერთი სერიოზული ტრანსფერი არ განუხორციელებიათ. ფინანსური მდგომარეობის მიხედვით, საფრანგეთში რიგით მეორეა "პარი სენ ჟერმენი" (90,000 ევრო), ხოლო მესამე ადგილს "მონაკო" იკავებს (75,000).

"ოსერი" კვლავ ფარული ფავორიტია

კარგი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, "მონაკოს" არავინ მიიჩნევს წლევანდელი ჩემპიონატის ფავორიტად. უპირველეს ყოვლისა, ეს მწვრთნელის დიდიე დეშამის დამსახურებაა: გასულ სეზონში მას იმდენი კონფლიქტი ჰქონდა თავის ფეხბურთელებთან, არავის სჯერა, რომ ის ოდესმე მდგომარეობას გამოასწორებს.

ცუდი პერსპექტივა აქვს "ბორდოსაც". ცოტა ხნის წინათ კლუბმა თავისი ბაზა 1,5 მილიონ ევროდ გაარემონტა და ძალიან კმაყოფილი დარჩა, რომ, ასეთი "დიდი ხარჯის" მიუხედავად, პორტუგალიელ პედრო პაულეტასთან კონტრაქტის გაგრძელება მოახერხა. "ბორდო" ფინანსურ კრიზისშია, რის გამოც ჩემპიონობის შანსი თითქმის არა აქვს.

ჩემპიონატის საიდუმლო ფავორიტი კვლავ "ოსერია". სოფლის გუნდმა და მისმა მწვრთნელმა, "დრუიდმა" გი რუმ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გადაიტანეს აქცენტი. "ოსერმა" 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების ოთხი მოთამაშე შეიძინა. თუ ეს ბიჭები მალე ათამაშდნენ, "ოსერს" ჩემპიონობის შანსიც კი აქვს, თუ არა და გი რუს კიდევ 3-4 წელიწადს მოუწევს მოცდა.

საწყლოსნო სპორტი

დაბრუნებული რეკორდი და მეორე კაცი

გიგა გურასაშვილი

ტიმ ჰუგენბანდი REUTERS

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 50 მეტრზე ბრასით ცურვაში ყველაზე უკეთ ამერიკელები და უკრაინელები ირჯებიან. ბერლინის საწყლოსნო სახეობათა ევროპის ჩემპიონატზე უკრაინამ მსოფლიოს რეკორსმენის გვირგვინი დაიბრუნა. იანკების მიერ ტომით ქართველი, მაგრამ გაუკრაინელებული ალექსანდრე ჯაბურიასთვის ჩამორთმეულმა მსოფლიოს რეკორდმა სულ რაღაც წელიწადნახევარი გაძლო. ჯაბურიამ ასეთი რამ 1996 წლის 27 აპრილს შეძლო. შარშანდლამდე 27,61-წამიანი ზღვარი ვერავინ გადალახა. თუმცა, მერე მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჯაბურიას რეკორდი ორ-ორი დღის ინტერვალში ზედიზედ ორჯერ დაემხო. 29 მარტს ეს შეძლო ენტონი რობინსონმა (27,49), ხოლო 31 მარტს - ედ მოზესმა (27,39). ახლა კი...

ოლეგ ლისოგორმა კონტინენტის პირველობის მეორე ოქრო მსოფლიოს რეკორდით მოიგო. მსოფლიოს ჩემპიონმა ბერლინის 50-მეტრიანი აუზი ისე გადასერა, რომ ედ მოზესის რეკორდი მოგონებადღა დარჩა - 27,18.

"სტარტამდე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ მსოფლიო რეკორდს დავამყარებდი, მაგრამ როდესაც ნახევარი მანძილი გავცურე, მივხვდი, რომ საქმე კარგად მიდიოდა. მეტიც – მე მგონი, 27-წამიან ზღვარსაც შემიძლია გადავაბიჯო", - მადაზეა უკრაინელი.

მსოფლიოს უსწრაფესი გაცურვის მოწმე, შესაძლოა, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობისასაც გავმხდარიყავით. ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰუგენბანდის მცდელობის მიუხედავად, მსოფლიოს რეკორდი ხელუხლებელი დარჩა. არადა, მისი განცხადებების საპირისპიროდ ჩანს ხოლმე ჰოლანდიელის განცხადება, რომ იგი მსოფლიოს რეკორდის დამყარებას არც კი ცდილობდა, მაგრამ როდესაც კონტინენტის პირველობაზე ევროპის რეკორდი დაამყარა, იგი ცოტათი იმედგაცრუებული ჩანდა. ისე კი, ჰუგენბანდი ძალზე ახლოს იყო, რომ მისთვის ავსტრალიელი მეტოქის იან ტორპისთვის რეკორდის ართმევა ეცნობებინათ. ჰოლანდიელმა კარგად აიღო სტარტი. 150 მეტრიც მსოფლიოს რეკორდის შესაბამის დროში გაცურა, მაგრამ დარჩენილ 10 მეტრზე ასეთი უპირატესობა ვეღარ შეინარჩუნა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მეორე უსწრაფესი შედეგიც არაა ურიგო (1.44,89), მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს.

"კმაყოფილი ვარ საკუთარი შედეგით. გამოგიტყდებით, ევროპის ჩემპიონობა მიზნად არ მქონდა დასახული. ერთადერთი, რაც მსურდა, ეს კარგ დროში გაცურვა გახლდათ. არა, მსოფლიო რეკორდს არ ვგულისხმობ. ეს მომავლის საქმეა. ისე კი, მართლაც ძალზე მსურდა, წუთი და 45-წამიანი ზღვარი გადამელახა, მით უმეტეს, მთელი ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ გავიმეორე, რომ ამას ევროპის ჩემპიონატისთვის ვგეგმავდი. დანაპირები ავასრულე. 150 მეტრზე მაინც ვარ მსოფლიოს რეკორდსმენი", -ბოლოს იხუმრა ჰუგენბანდმა.

ხელოვნებისა და მშვენიერების მოტრფიალე ჰიტლერი

მასაჩუსეტსის შტატში, უილიამსტაუნში, ადგილობრივი კოლეჯის მუზეუმში მეტად უჩვეულო გამოფენა გაიხსნა. გამოფენის სახელწოდება ასეთნაირად ჟღერს: "კოშმარის პრელუდია, ხელოვნება, პოლიტიკა და ჰიტლერის ვენაში ცხოვრების ადრეული წლები - 1906-1913". გამოფენაზე წარმოდგენილია თავად ფიურერის შემოქმედება და მისი თანამედროვე პერიოდის ავსტრიელი მხატვრების ნამუშევრები.

ამას გარდა, ექსპოზიცია მოიცავს კრისტიან გრიპენკერლის ნამუშევრებს, გრიპენკერლი ჰიტლერის ახალგაზრდობის პერიოდში ვენის სამხატვრო აკადემიის ფერწერის განყოფილების გამგე იყო. სწორედ მან ჩაჭრა მისაღებ გამოცდებზე მომავალი ფიურერი, რომელიც სამხატვრო აკადემიის სტუდენტობაზე ოცნებობდა.

ამასთან დაკავშირებით გამოფენის კურატორი დებორა როტშილდი აცხადებს, რომ სწორედ გრიპენკერლს მიუძღვის ბრალი ნაციზმის წარმოშობაშიც, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაშიც და გერმანიის გახლეჩვაშიც. მოკლედ, როგორც ქალბატონი დებორა ამბობს, თუკი გასული ასწლეულის განმავლობაში რამე უბედურება დატრიალდა, ყველაფერში სამხატვრო აკადემიის მკაცრი და უკომპორმისო ლექტორია დამნაშავე. ერთ დროს მთელი კაცობრიობის ბედი "ულტრაკონსერვატიული", "დიქტატორული თვისებებით უხვად შემკული კაცის", გრიპენკერლის, ხელში იყო. მას რომ თავისი პრინციპები დაეთმო და უფრო ნაკლები სიმკაცრე გამოეჩინა, შესაძლოა, XX საუკუნის ისტორია სხვაგვარად განვითარებულიყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომავალი ფიურერის საგამოცდო მარცხი სარაევოში ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის მკვლელობის - პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბის ტოლფასი გახდა. ასე ფიქრობენ გამოფენის ორგანიზატორები.

გამოფენის კატალოგში დამთვალიერებელი შემდეგ სიტყვებს ამოიკითხავს: "ხელოვნებისა და მშვენიერებისადმი ერთგულება ჰიტლერის ცხოვრებისა და პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. ის არ ხელმძღვანელობდა ჩვეულებრივი პოლიტიკური მოტივებით, მას ესთეტიკური ამბიციები ამოძრავებდა – დიდი სურვილი ჰქონდა, მსოფლიო უფრო მშვენიერი გაეხადა."

გამოფენის კედლებზე გაკრული ტრანსპარანტები და ექსპონატების წარწერები მოწმობს, რომ ჰიტლერი პირველ რიგში ესთეტი იყო: "რადგანაც ხელოვნება ჰიტლერის სწრაფვა იყო და რადგანაც ნაციზმის იდეოლოგიას ხელოვნება ედო საფუძვლად, მესამე რეიხში ესთეტიკურ საკითხებს უდიდესი პრიორიტეტი ენიჭებოდა," - ასე ფიქრობენ ორგანიზატორები, რასაც, რა თქმა უნდა, დამთვალიერებელზე ვერ ვიტყვით. გამოფენის სტუმრები ექსპონატების წარწერების თუ კატალოგის ჩანაწერების წაკითხვისას თვალებს არ უჯერებენ: ოსვენციმი ამ გამოფენაზე არკადიის ბაღების მსგავსადაა წარმოდგენილი, ნაციზმი კი ესთეტიკურ მიმდინარეობად არის გამოცხადებული...

პარიზიდან პროვინციაში

ზაფხულში პარიზში კულტურული ცხოვრება ჩამკვდარია. ცხადია, მთლად არ კვდება, უბრალოდ, ყველაფერი შედარებითია. ფრანგების თქმით, კულტურაც სამხრეთ საფრანგეთში მიემგზავრება არდადეგებზე და პროვინციულ მუზეუმებში უამრავი საინტერესო გამოფენა იმართება.

"ზაფხულში ისეთ თემებს ვარჩევთ, ფართო საზოგადოებას რომ დაინტერესებს. ამ ორი-სამი თვის განმავლობაში იმდენი დამთვალიერებელი გვყავს, რამდენიც საერთოდ მთელი დანარჩენი წლის განმავლობაში," განაცხადა სენ-ტროპეს ხელოვნების მუზეუმის, L'Annonciade-ს ხელმძღვანელმა.

სენ-ტროპეს, ყოფილ მეთევზეთა სოფლის სტუმრებს შესანიშნავი გამოფენის დათვალიერების საშუალება ეძლევათ: Retour au classicisme – კლასიციზმთან დაბრუნება, 1917-1925 წლებში დიდოსტატების მიერ შექმნილი 100-ზე მეტი შედევრი. მხატვრები, რომლებიც ომამდე ავანგარდიზმს "ეკუთვნოდნენ", სწორედ ამ წლებში დაუბრუნდნენ კლასიციზმსა და აკადემიზმს: მატისი ინტერიერებს ხატავდა, პიკასომ ანტიკური სამყარო აღმოაჩინა... გამოფენას ყოველდღე ათასობით დამთვალიერებელი ჰყავს.

სენ-ტროპეს არც ლოდევი ჩამორჩა: იქაურ ხელოვნების მუზეუმში ვენის მხატვართა 80 ნამუშევარია გამოფენილი, შესანიშნავი კრებული – კლიმტი, კოკოშკა, შილე, ოპენჰაიმერი... "ძალიან გვეამაყება, რომ ასეთი გამოფენის მოწყობა შევძელით," ამბობენ მუზეუმის ხელმძღვანელები. ისე, მართლაც საამაყოა...

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲔᲑᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ

ანტონიო ბანდერასი და მელანი გრიფიტი ვენეციის კინოფესტივალზე REUTERS

მოულოდნელობა, რომელიც თავდაპირველად მიიქცევს კინომანების ყურადღებას, ვენეციის კინოფესტივალის ხელმძღვანელად არაიტალიელის, ინგლისში დაბადებული, შვეიცარიის მოქალაქე მორიც დე ჰადელნის შერჩევაა. ჰადელნი ლოკარნოს ფესტივალს ექვსი, ხოლო ბერლინის FilmFest-ს კი 22 წელიწადია ხელმძღვანელობს. ჰადელნის მთავარ უპირატესობად ორგანიზატორულ შესაძლებლობებს მიიჩნევენ. მაგრამ, მოახერხებს თუ არა იგი ვენეციის ფესტივალის დაცვას, მისდამი გამძაფრებული ინტერესის გამო, ამას მოკლე დროში ვნახავთ.

უკვე მეოთხედი საუკუნეა, ყოველ წელს ამტკიცებენ, რომ ვენეციის კინოფესტივალი დროებითია, მაგრამ როგორც ვხედავთ – ვარაუდი არ გამართლებულა. წლევანდელ ფესტივალზე საყურადღებოა იტალიელი რეჟისორების ნაკრები: გეი, პლაჩიდო, ვიკარი. კონკურსზე ორმოცამდე იტალიური ფილმია წარმოდგენილი; მათ შორისაა სოფი ლორენის შვილის, ედუარდო პონტის სურათი, სადაც მთავარ როლს თავად ლორენი ასრულებს.

კინომცოდნეებს აუცილებლად დააინტერესებთ 11'09''01 სახელით გაერთიანებული კინორეჟისორების კოლექტივის ნამუშევარი, სადაც თერთმეტი, სხვადასხვა ეროვნების რეჟისორი თავისებურად მოგვითხრობს ნიუ იორკის ტყუპი კოშკის ტრაგედიაზე.

ვენეციის 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალს ჯული ტეიმორის ფილმი, "ფრიდა" გახსნის. ფილმში მთავრ როლებს ანტონიო ბანდერასი და სალმა ჰაიეკი ასრულებენ. ფესტივალის კიდევ ერთი, არანაკლებ საინტერესო მოვლენაა სტივენ სოდებერგის ახალი ნამუშევარი, Full Frontal, ჯულია რობერტსისა და დევიდ დუხოვნის მონაწილეობით.

ვენეციის ფორუმზე ორ საკონკურსო პროგრამას წარმოადგენენ: ძირითადს, სადაც 21 ფილმია შესული და პროგრამას "დინების წინააღმდეგ" (17 ფილმიანი). ძირითად პროგრამაში ერთმანეთს კონკურენციას გაუწევენ: სემ მენდესის "დაწყევლილი გზა", ტეკესი კიტანოს "თოჯინები" და პატრის ლეკონტის "ადამიანი მატარებლიდან"

ფესტივალი 29 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე გაგრძელდება. სულ 143 ფილმი იქნება ნაჩვენები. ჟიურის ჩინელი მსახიობი, გონ ლი უხელმძღვანელებს.

ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

							2	4	2																				2	
						2	2	2	2																3		4	2	2	2
						2	1	2	1						2	1				1	2				1	2	1	2	1	2
						1	1	1	2	2	2				2	2	4		4	2	2			3	4	2	2	1	1	1
						1	1	2	1	10	12	18	19	18	17	18	18	18	18	18	17	18	17	13	3	10	1	2	1	1
		1	1	1	1																									
2	1	1	1	1	2																									
1	1	1	1	1	1																									
		1	1	1	1																									
		2	2	2	2																									
	2	2	2	2	2																									
		4	1	1	2																									
				4	4																									
					13																									
				14	2																									
				17	3																									
		2	15	1	2																									
		2	15	1	2																									
			1	19	1																									
					23																									
			3	17	3																									
			1	19	1																									
		2	15	1	2																									
			1	17	1																									
			1	15	1																									
			1	15	1																									
			3	13	3																									
					13																									
					11																									
					9																									
					5																									

N 62-ᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

თარაზულად: კლდე; უპე; მეთანი; ულანი; როკი; რა; ბაზარი; ატლასი; შტამპი; მინისტრი; ქლიბი; ლეჩაქი; ლიმანი; კუპე; მე; პოპ; ბაბუინი; სერ; კუპაჟი; ფაცერი; მზიური; შკიპნერი; კოდალა; იან; ოლღა; მესნერი; ტემპი; რაში; იოლი.

შვეულად: მოლა; კერატი; საკე; ნამცეცი; ფასადი; რეპი; როსინი; ომარ; კირი; კირილე; შრე; დუკატი; კოპი; კანტი; ელიტა; ლუპა; გო; ჟანდარმი; აპაჩები; იპო; პირსი; მალა; ბოზბაში; პლიმუტი; უმი; აბე; ნარმა; ინტიმი.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

Ꭹ Ᏺ Ꭺ Ꮪ Ꮺ
ᎷᏦᏬᏒᏂᏁᏁᏦᏬ

ᏩᏂᏦᏬᏒᏂᏁᏁᏦᏬ ᏩᏂ